როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

ქართული ენა და ლიტერატურა

სავალდებულო გამოცდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება. აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 5

საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I. ქართული ენა ---------- 6

II. ქართული ლიტერატურა ---------- 7

საგამოცდო მოთხოვნები ---------- 8

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ტექსტის რედაქტირება

ა) დავალებების ნიმუშები ---------- 9

ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 12

გ) კომენტარი ---------- 15

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

ა) დავალებების ნიმუშები ---------- 15

ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 59

გ) კომენტარი ---------- 66

შესავალი

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მათთვის, ვინც 2023 წელს აპირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა (საკითხთა ჩამონათვალი), საგამოცდო მოთხოვნები, ტესტური დავალებების ნიმუშები, შეფასების კრიტერიუმები და მცირე კომენტარები.

გირჩევთ ყურადღებით წაიკითხოთ ინსტრუქციები და დავალებების პირობები, გაეცნოთ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც შეფასდება თქვენი ნამუშევრები, გაითვალისწინოთ რეკომენდაციები. ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული დაგეხმარებათ უკეთ მოემზადოთ გამოცდებისათვის.

2023 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში იქნება შემდეგი ტიპის დავალებები: **I. ტექსტის რედაქტირება; II. წაკითხულის გააზრება** (აბიტურიენტმა უნდა აირჩიოს შეთავაზებული ორი მხატვრული ტექსტიდან ერთ-ერთი და უპასუხოს ამ ტექსტის შესახებ დასმულ არჩევითპასუხებიან კითხვებს) **და წერითი დავალება** (აბიტურიენტმა უნდა იმსჯელოს დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ იმ მხატვრული ტექსტის საფუძველზე, რომელიც მან აირჩია **წაკითხულის გააზრების** დავალებების შესასრულებლად).

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

2023 წლის ერთიანი ეროვნული საგამოცდო პროგრამა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საკითხთა ჩამონათვალი:

I. ქართული ენა

1. ლექსიკოლოგია	სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება; სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები; მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა.
2. სტილისტიკა	სტილის რაობა; ფუნქციური სტილისტიკა; ლექსიკური სტილისტიკა; სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით; პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები; სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).
3. მორფოლოგია	მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.
4. სინტაქსი	წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
5. პუნქტუაცია	სასვენი ნიშნები; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

II. ქართული ლიტერატურა

1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათ-მცოდნეობითი ტერმინები	დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პიესა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი; აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა; ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.
2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები	სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
3. იაკობ ხუცესი	„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. იოვანე საბანისძე	„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
5. გიორგი მერჩულე	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
6. შოთა რუსთველი	„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.
7. სულხან-საბა ორბელიანი	„სიბრძნე-სიცრუისა“, მემკვიდრის აღზრდის ამბავი; ლეონის თავგადასავალი. იგავ-არაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.
8. დავით გურამიშვილი	„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.
9. ალექსანდრე ჭავჭავაძე	ლექსი „გოგჩა“.
10. გრიგოლ ორბელიანი	ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.
11. ნიკოლოზ ბარათაშვილი	ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.
12. ილია ჭავჭავაძე	ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

13. აკაკი წერეთელი	ლექსები: „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა სვან ღვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.
14. ალექსანდრე ყაზბეგი	მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
15. ვაჟა-ფშაველა	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხრობა „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
16. დავით კლდიაშვილი	მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
17. ნიკო ლორთქიფანიძე	მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
18. კონსტანტინე გამსახურდია	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
19. მიხეილ ჯავახიშვილი	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
20. პოლიკარპე კაკაბაძე	პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
21. გალაკტიონ ტაბიძე	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
21. ტიციან ტაბიძე	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
23. პაოლო იაშვილი	ლექსი „პოეზია“.
24. გიორგი ლეონიძე	ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.
25. გურამ რჩეულიშვილი	მოთხრობა „ალავერდობა“.
26. ანა კალანდაძე	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
27. ჯემალ ქარჩხაძე	მოთხრობა „იგი“.
28. გურამ დოჩანაშვილი	მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

საგამოცდო მოთხოვნები

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- დასმული პრობლემის გააზრება და ანალიზი;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;

- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ტექსტის რედაქტირების უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული და არასაპროგრამო მხატვრული ტექსტების გააზრებისა და ანალიზის უნარი.
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

1.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობა 1867 წელს დაიწყო. ინგლისელმა მრეწველმა პაუკერმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რომლითაც იგი ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის გაყვანაზე იღებდა მოვალეობას. პაუკერმა რკინიგზის მშენებლობაში აქტიურად ჩართო არაერთი ქართველი სპეციალისტები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილ საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დამსახურება. სწორედ მან დაუკვეთა ორთქლმავალების პირველი პარტია საზღვარგარეთ.

1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისის სადგურის ბაქანზე პირველი მატარებელი ჩამოდგა. თავდაპირველათ რკინიგზა სურამის უღელტეხილზე გადიოდა. ამის გამო მგზავრობა არა მხოლოდ მოუხერხებელი არამედ სახიფათოც კი იყო რათა ხშირი იყო უბედური შემთხვევები. მოგვიანებით გადაწყდა წიფის გვირაბის მშენებლობა რომელსაც უძღვებოდა ცნობილი ინჟინერი ფერდინანდ რიძევსკი. 1883 წელს თბილისისა და ბათუმის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო და თანდათან რკინიგზის ქსელმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო დაჰფარა.

დიდი ძალისხმევა დაჭირდა კახეთის რკინიგზის მშენებლობას რადგან რუსეთის იმპერია ამით დაინტერესებული არ იყო. მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის დახმარებით შეძლო კახეთის თავად-აზნაურობამ მშენებლობის დაფინანსების საკითხი მოეგვარებია და 1915 წელს რკინიგზა კახეთშიც ამოქმედდა.

2.

ანტიკური წყაროებით დასტურდება რომ ძველ საქართველოში წყლის ენერგიას სანავიგაციოდაც იყენებდნენ. ამის შესახებ პირველი ცნობები ჰიპოკრატესთან გვხვდება. როგორც იგი სწერს, კოლხები ფეხით ნაკლებად დადიოდნენ. ისინი ნავებით მოძრაობდნენ არხებზე, რომელიც მრავლად იყო მდინარე ფაზისის გასწვრივ. შუა საუკუნეების არაერთ საბუთშია მოხსენიებული ტივი. როგორც ირკვევა საქართველოში ტივი მდინარეზე მიმოსვლისა და ტვირთის გადაზიდვის უპირველეს საშუალებად ითვლებოდა.

მეტივეობას მისდევდნენ მდინარეების – მტკვარის, ლიახვის, ცხენისწყლის, რიონის – ხეობებში. მათ შორის ყველაზე განთქმული იყო ბორჯომის ხეობა სადაც უხვათ მოიპოვებოდა მშენებლობისათვის საჭირო წიწვოვანი ხეები. ტივებს სწორედ ამ ხეებიდან კრავდნენ. მეტივეები ქმნიდნენ ე. წ. არტელებს, რაშიც ნათესავები ერთიანდებოდნენ. გაყიდულ მორებში აღებული თანხა ნაწილდებოდა არტელის წევრებზე მათ მიერ გაწეული შრომისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მეტივეები ბორჯომიდან თბილისში ჩამოსვლას ჩვეულებრივ, ორსამ დღეს უნდებოდნენ, მაგრამ, თუ მტკვარი ადიდებული იყო ამ მანძილს ერთ დღეშიც კი ფარავდნენ.

ტივით სხვადასხვა ტვირთი გადაქონდათ. ტივზე ქეიფი და დროსტარება ძველ თბილისის ერთგვარ ატრიბუტადაც კი იქცა. მასზე ხშირად მეჯლისებისა და ქორწილების გამართვაც ხდებოდა.

3.

„ფუნიკულიორი“ ზოგს მთაწმინდის პლატოს სახელწოდება გონია. სინამდვილეში ეს არის სალიანდაგო-საბაგირო გზასთან დაკავშირებული ტერმინი რომელიც ბაგირის ლათინური სახელწოდებიდან მომდინარეობს.

მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა ე. წ. „ზედა თბილისის“ გაშენების იდეა და დაიწყო მთაწმინდის პლატოს ათვისება მაგრამ სირთულეს ქმნიდა ახალ უბნის სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან. ბელგიელმა ინჟინერმა ალფონს რობიმ წამოაყენა წინადადება, რომ ეს უბანი და ძველი ქალაქი ერთმანეთთან დაეკავშირებიათ სამთო ტრამვაით – ფუნიკულიორით. 1900 წლის ივლისში ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც თბილისში სამთო ტრამვაის გაყვანის პროექტს ანხორციელებდა ბელგიური სააქციო საზოგადოება. ეს საზოგადოება ასევე ექსპლუატაციას გაუწევდა ფუნიკულიორს 45 წლის განმავლობაში შემდეგ კი მას უსასყიდლოთ გადაცემდა ქალაქს. ამ მშენებლობაში დიდი ღვაწლი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ.

ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წელს კერძოდ, 27 მარტს. ამ მოვლენას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა. ფუნიკულიორის მფლობელმა საკმაოდ სოლიდური ჯილდო დააწესა მათთვის ვინც ვაგონს მთაწმინდაზე აჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა. დროთა განმავლობაში ჩვენ ქალაქში ბევრი რამ შეიცვალა, ფუნიკულიორი კი კვლავ რჩება მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად.

4.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ზრდის გამო საჭირო გახდა ქალაქების უზრუნველყოფა სწრაფი სატრანსპორტო საშუალებებით. ასე შეიქმნა ახალი ტიპის საქალაქო ტრანსპორტი რაც 1883 წელს თბილისის ქუჩებშიც გამოჩნდა. საქართველოს სხვა ქალაქთაგან არცერთს არ გამოუთქვავს საქალაქო ტრანსპორტის გაუმჯობესების სურვილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ფოთი. ეს მაშინდელ ქალაქისთავის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დამსახურება იყო.

ნიკო ნიკოლაძემ ენერგიულათ მოკიდა ხელი საქალაქო მეურნეობის პირველ რიგში, სატრანსპორტო საშუალებების გამონახვა-გაუმჯობესების საქმეს. ჯერ კიდევ 1899 წელს ქალაქის თვითმმართველობამ განიხილა ნიკო ნიკოლაძის წინადადება ნავსადგურისაგან ქალაქის ცენტრამდე ელექტროტრამვაის ხაზის გაყვანის შესახებ. რადგან იმხანად ქალაქს არ შეეძლო ასეთი ძვირად-ღირებული პროექტის დაფინანსება გადაწყდა, რომ ცხენიანი ტრამვაის ხაზი გაეყვანათ.

ნიკო ნიკოლაძემ მოლაპარაკება გამართა ბელგიის ანონიმურ საზოგადოებასთან, რომელმაც აწარმოვა თბილისში ცხენიანი ტრამვაის ე. წ. „კონკას“, ამუშავება. 1904 წლის ოქტომბერში გაზეთი „ივერია“ მკითხველს ატყობინებდა, რომ ფოთის სათათბიროს დაუმტკიცებიათ პროექტი და ქალაქში ცხენის ტრამვაი გაყავთო. 1905 წელს ფოთში ცხენიანი ტრამვაის რეგულარული მიმოსვლა დაიწყო.

5.

XIX საუკუნის დამლევს თბილისი თანდათან კავკასიის მსხვილი ადმინისტრაციული და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი ხდება. ქალაქის განვითარება სწრაფი ტემპით წარმოებდა. მისი საზღვრები სულ უფრო ფართოვდებოდა, რისთვისაც არსებულ სატრანსპორტო საშუალებებს უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებია მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება. ქალაქის მმართველობამ კონტრაქტი გააფორმეს ბელგიურ ანონიმურ საზოგადოებასთან. ხელშეკრულების თანახმათ ბელგიელებს მინიჭებული ჰქონდათ თბილისში ცხენიანი ტრამვაის ამოქმედებისა და ექსპლუატაციის უფლება. ასე გამოჩნდა 1883 წლის აპრილში პირველი ცხენიანი ტრამვაი, ე. წ. „კონკა“.

„კონკით“ მგზავრობა 3-5 კაპიკი ღირდა და ღარიბ ქართველებისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო. თითოეულ ვაგონს, რაც 20 მგზავრს იტევდა, დაყვებოდა კონდუქტორი. ვინაიდან იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო, კონდუქტორის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული თუ სად და როდის გაჩერდებოდა ტრამვაი.

მას შემდეგ რაც რუსეთში პირველად ამოქმედდა ელექტროტრამვაი, თბილისშიც აქტიურად ალაპარაკდნენ ახალი ტრანსპორტის შემოღების საჭიროებაზე. ბელგიელების კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად დრომ თავისი გაიტანა და „კონკა“ ტრამვაიმ შესცვალა, თუმცა 1910 წლამდე იგი ჯერ კიდევ მოძრაობდა ავჭალის დღევანდელი ჩიტაიას, ქუჩაზე.

6.

საფრენი აპარატების შექმნა 20-ე საუკუნის ყველაზე უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიღწევა იყო. თბილისის გაზეთებში აეროპლანთან დაკავშირებით მრავალი სტატიები იბეჭდებოდა. ახალი აპარატით დაინტერესდა ახალგაზრდა ტექნიკოსი ბესარიონ ქებურია რომელიც გახდა პირველი ქართველი მფრინავი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებელი. საქართველოში ავიაციის ისტორია იწყება 1908 წელიდან, როდესაც ბესარიონმა ააგო პლანერი და გასაფრენათ მზადებას შეუდგა.

1909 წელს მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ამბავი, კერძოდ ფრანგი ავიატორი ლუი ბლერიო საკუთარ კონსტრუქციის მონოპლანით გადაფრინდა ინგლისში. ამ მოვლენით შთაგონებულმა ბესარიონმა გაყიდა ყველაფერი და პარიზში გაემგზავრა.

საფრენოსნო სკოლაში სწავლას დიდი თანხა სჭირდებოდა. ავარიის შემთხვევაში მოსწავლეებს აჯარიმებდენ რათა მათ სკოლისათვის მიყენებული ზარალი აენაზღაურებიათ. გარდა ამისა მათ აეროპლანის შესაძენი თანხაც უნდა ჰქონოდათ. ბესარიონმა პრობლემის მოგვარება ამგვარად შესძლო: თავიდანვე შეისყიდა მონოპლანი და სრულიად მოუმზადებელმა რვაჯერ შემოუფრინა აეროდრომს. მისი შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა ბლერიომ იგი წარუდგინა საფრანგეთის პრეზიდენტს ვინც გზა დაულოცა ქართველ მფრინავს. ქებურია საქართველოში დაბრუნდა და თავისი ცხოვრება სამოქალაქო ავიაციის შექმნასა და განვითარებას მიუძღვნა.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ---------- *9ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (9) აკლდება თითო ქულა.

II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ---------- *2ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.

III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- *5ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.

1.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის მშენებლობა 1867 წელს დაიწყო. ინგლისელმა მრეწველმა პაუკერმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლითაც იგი ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის გაყვანაზე იღებდა ვალდებულებას. პაუკერმა რკინიგზის მშენებლობაში აქტიურად ჩართო არაერთი ქართველი სპეციალისტი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დამსახურება. სწორედ მან დაუკვეთა ორთქლმავლების პირველი პარტია საზღვარგარეთ.

1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისის სადგურის ბაქანზე პირველი მატარებელი ჩამოდგა. თავდაპირველად რკინიგზა სურამის უღელტეხილზე გადიოდა. ამის გამო მგზავრობა არა მხოლოდ მოუხერხებელი, არამედ სახიფათოც კი იყო, რადგან ხშირი იყო უბედური შემთხვევები. მოგვიანებით გადაწყდა წიფის გვირაბის მშენებლობა, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი ინჟინერი ფერდინანდ რიძევსკი. 1883 წელს თბილისისა და ბათუმის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო და თანდათან რკინიგზის ქსელმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო დაფარა.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა კახეთის რკინიგზის მშენებლობას, რადგან რუსეთის იმპერია ამით დაინტერესებული არ იყო. მხოლოდ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის დახმარებით შეძლო კახეთის თავადაზნაურობამ მშენებლობის დაფინანსების საკითხი მოეგვარებინა და 1915 წელს რკინიგზა კახეთშიც.

2.

ანტიკური წყაროებით დასტურდება, რომ ძველ საქართველოში წყლის ენერგიას სანავიგაციოდაც იყენებდნენ. ამის შესახებ პირველი ცნობები ჰიპოკრატესთან გვხვდება. როგორც იგი წერს, კოლხები ფეხით ნაკლებად დადიოდნენ. ისინი ნავებით მოძრაობდნენ არხებზე, რომლებიც მრავლად იყო მდინარე ფაზისის გასწვრივ. შუა საუკუნეების არაერთ საბუთშია მოხსენიებული ტივი. როგორც ირკვევა, საქართველოში ტივი მდინარეზე მიმოსვლისა და ტვირთის გადაზიდვის უპირველეს საშუალებად ითვლებოდა.

მეტივეობას მისდევდნენ მდინარეების – მტკვრის, ლიახვის, ცხენისწყლის, რიონის – ხეობებში. მათ შორის ყველაზე განთქმული იყო ბორჯომის ხეობა, სადაც უხვად მოიპოვებოდა მშენებლობისათვის საჭირო წიწვოვანი ხეები. ტივებს სწორედ ამ ხეებისაგან კრავდნენ. მეტივეები ქმნიდნენ ე. წ. არტელებს, რომლებშიც ნათესავები ერთიანდებოდნენ. გაყიდულ მორებში აღებული თანხა ნაწილდებოდა არტელის წევრებზე მათ მიერ გაწეული შრომისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მეტივეები ბორჯომიდან თბილისში ჩამოსვლას, ჩვეულებრივ, ორ-სამ დღეს უნდებოდნენ, მაგრამ, თუ მტკვარი ადიდებული იყო, ამ მანძილს ერთ დღეშიც კი ფარავდნენ.

ტივით სხვადასხვა ტვირთი გადაჰქონდათ. ტივზე ქეიფი და დროსტარება ძველი თბილისის ერთგვარ ატრიბუტადაც კი იქცა. მასზე ხშირად მეჯლისები და ქორწილებიც იმართებოდა.

3.

„ფუნიკულიორი“ ზოგს მთაწმინდის პლატოს სახელწოდება ჰგონია. სინამდვილეში ეს არის სალიანდაგო-საბაგირო გზასთან დაკავშირებული ტერმინი, რომელიც ბაგირის ლათინური სახელწოდებიდან მომდინარეობს.

მე-19 საუკუნის ბოლოს გაჩნდა ე. წ. „ზედა თბილისის“ გაშენების იდეა და დაიწყო მთაწმინდის პლატოს ათვისება, მაგრამ სირთულეს ქმნიდა ახალი უბნის სატრანსპორტო კავშირი ქალაქთან. ბელგიელმა ინჟინერმა ალფონს რობიმ წამოაყენა წინადადება, რომ ეს უბანი და ძველი ქალაქი ერთმანეთთან დაეკავშირებინათ სამთო ტრამვაით – ფუნიკულიორით. 1900 წლის ივლისში ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც თბილისში სამთო ტრამვაის გაყვანის პროექტს ახორციელებდა ბელგიური სააქციო საზოგადოება. ეს საზოგადოება ასევე ექსპლუატაციას გაუწევდა ფუნიკულიორს 45 წლის განმავლობაში, შემდეგ კი მას უსასყიდლოდ გადასცემდა ქალაქს. ამ მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ.

ფუნიკულიორი გაიხსნა 1905 წელს, კერძოდ, 27 მარტს. ამ მოვლენას დიდი ფერწერული ტილო უძღვნა ნიკო ფიროსმანმა. ფუნიკულიორის მფლობელმა საკმაოდ სოლიდური ჯილდო დააწესა მათთვის, ვინც ვაგონს მთაწმინდაზე აჰყვებოდა და ჩამოჰყვებოდა. დროთა განმავლობაში ჩვენს ქალაქში ბევრი რამ შეიცვალა, ფუნიკულიორი კი კვლავ რჩება მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად.

4.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ზრდის გამო საჭირო გახდა ქალაქების უზრუნველყოფა სწრაფი სატრანსპორტო საშუალებებით. ასე შეიქმნა ახალი ტიპის საქალაქო ტრანსპორტი, რომელიც 1883 წელს თბილისის ქუჩებშიც გამოჩნდა. საქართველოს სხვა ქალაქთაგან არცერთს არ გამოუთქვამს საქალაქო ტრანსპორტის გაუმჯობესების სურვილი. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ფოთი. ეს მაშინდელი ქალაქისთავის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის, დამსახურება იყო.

ნიკო ნიკოლაძემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქალაქო მეურნეობის, პირველ რიგში, სატრანსპორტო საშუალებების გამონახვა-გაუმჯობესების საქმეს. ჯერ კიდევ 1899 წელს ქალაქის თვითმმართველობამ განიხილა ნიკო ნიკოლაძის წინადადება ნავსადგურიდან ქალაქის ცენტრამდე

ელექტროტრამვაის ხაზის გაყვანის შესახებ. რადგან იმხანად ქალაქს არ შეეძლო ასეთი ძვირადღირებული პროექტის დაფინანსება, გადაწყდა, რომ ცხენიანი ტრამვაის ხაზი გაეყვანათ.

ნიკო ნიკოლაძემ მოლაპარაკება გამართა ბელგიის ანონიმურ საზოგადოებასთან, რომელმაც თბილისში ცხენიანი ტრამვაი, ე. წ. „კონკა“, აამუშავა. 1904 წლის ოქტომბერში გაზეთი „ივერია“ მკითხველს ატყობინებდა, რომ ფოთის სათათბიროს დაუმტკიცებია პროექტი და ქალაქში ცხენის ტრამვაი გაჰყავთო. 1905 წელს ფოთში ცხენიანი ტრამვაის რეგულარული მიმოსვლა დაიწყო.

5.

XIX საუკუნის დამლევს თბილისი თანდათან კავკასიის მსხვილი ადმინისტრაციული და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი ხდება. ქალაქი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მისი საზღვრები სულ უფრო ფართოვდებოდა, რის გამოც არსებულ სატრანსპორტო საშუალებებს უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება. ქალაქის მმართველობამ კონტრაქტი გააფორმა ბელგიურ ანონიმურ საზოგადოებასთან. ხელშეკრულების თანახმად, ბელგიელებს მინიჭებული ჰქონდათ თბილისში ცხენიანი ტრამვაის ამოქმედებისა და ექსპლუატაციის უფლება. ასე გამოჩნდა 1883 წლის აპრილში პირველი ცხენიანი ტრამვაი, ე. წ. „კონკა“.

„კონკით“ მგზავრობა 3-5 კაპიკი ღირდა და ღარიბი ქართველებისათვის ძალზე ხელსაყრელი იყო. თითოეულ ვაგონს, რომელიც 20 მგზავრს იტევდა, დაჰყვებოდა კონდუქტორი. ვინაიდან იმ დროს საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო, კონდუქტორის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, თუ სად და როდის გაჩერდებოდა ტრამვაი.

მას შემდეგ, რაც რუსეთში პირველად ამოქმედდა ელექტროტრამვაი, თბილისშიც აქტიურად ალაპარაკდნენ ახალი ტრანსპორტის შემოღების საჭიროებაზე. ბელგიელების კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, დრომ თავისი გაიტანა და „კონკა“ ტრამვაიმ შეცვალა, თუმცა 1910 წლამდე იგი ჯერ კიდევ მოძრაობდა ავჭალის, დღევანდელი ჩიტაიას, ქუჩაზე.

6.

საფრენი აპარატების შექმნა მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიღწევა იყო. თბილისის გაზეთებში აეროპლანთან დაკავშირებით მრავალი სტატია იბეჭდებოდა. ახალი აპარატით დაინტერესდა ახალგაზრდა ტექნიკოსი ბესარიონ ქებურია, რომელიც გახდა პირველი ქართველი მფრინავი და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებელი. საქართველოში ავიაციის ისტორია იწყება 1908 წლიდან, როდესაც ბესარიონმა ააგო პლანერი და გასაფრენად მზადებას შეუდგა.

1909 წელს მსოფლიოში გავრცელდა სენსაციური ამბავი, კერძოდ, ფრანგი ავიატორი ლუი ბლერიო საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანით გადაფრინდა ინგლისში. ამ მოვლენით შთაგონებულმა ბესარიონმა გაყიდა ყველაფერი და პარიზში გაემგზავრა.

საფრენოსნო სკოლაში სწავლას დიდი თანხა სჭირდებოდა. ავარიის შემთხვევაში მოსწავლეებს აჯარიმებდნენ, რათა მათ სკოლისათვის მიყენებული ზარალი აენაზღაურებინათ. გარდა ამისა, მათ აეროპლანის შესაძენი თანხაც უნდა ჰქონოდათ. ბესარიონმა პრობლემის მოგვარება ამგვარად შეძლო: თავიდანვე შეისყიდა მონოპლანი და სრულიად მოუმზადებელმა რვაჯერ შემოუფრინა აეროდრომს. მისი შესაძლებლობებით აღფრთოვანებულმა ბლერიომ იგი წარუდგინა საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელმაც გზა დაულოცა ქართველ მფრინავს. ქებურია საქართველოში დაბრუნდა და თავისი ცხოვრება სამოქალაქო ავიაციის შექმნასა და განვითარებას მიუძღვნა.

გ) კომენტარი

ამ დავალების შეფასებისას ნათლად ჩანს, რომ აბიტურიენტთა ნაწილი ტექსტის რედაქტირების ნაცვლად მექანიკურად ეძებს და ასწორებს ცალკეულ ფორმებს, რაც განსაკუთრებით გაუმართლებელია სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომებისა და სტილისტური ხარვეზების გასწორებისას. ფორმა, რომელიც შეცდომაა ერთ შემთხვევაში, სხვა კონტექსტში შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ ამ დავალების შესრულებისას ძალზე მნიშვნელოვანია აბიტურიენტმა ყურადღებით წაიკითხოს ტექსტი და შეცდომების გასწორებისას კარგად გაიაზროს კონტექსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება რედაქტირებულის ნაცვლად ბუნდოვანი, ფაქტობრივი შეცდომებითა და ხარვეზებით სავსე ტექსტი მიიღოს.

ტექსტის რედაქტირება ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით ფასდება. გაითვალისწინეთ, სხვადასხვა წელს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულათა განაწილება შესაძლოა ოდნავ განსხვავებული იყოს, თუმცა ჯამური ქულა უცვლელი რჩება.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

ა) დავალებების ნიმუშები:

1.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის პოემიდან „დავითიანი“:

ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება,
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.

ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა – ავი, კარგსა – კარგი.

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო,
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო,
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო,
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო,
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მაზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცით დავიკარგო.

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად.
მე, თუ გინდა, თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების...

რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძლებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩხვლეტს და მსჭვალავს.
სხვის არმკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
თვით ვერ ხედავს, სხვის საჭვრეტლად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?

მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რატომ ფიქრობს ავტორი, რომ მისი ნათქვამის გამო შესაძლოა *გინება* დაუწყონ?

ა) მკითხველს საკუთარ პრობლემებზე უნდა ესაუბროს.
ბ) მტრის უპირატესობის შესახებ უნდა ისაუბროს.
გ) ქართველთა ნაკლოვანებები უნდა ამხილოს.
დ) ღვთის სასაყვედურო სიტყვები უნდა წარმოთქვას.

(1) 3. რატომ თვლის ავტორი, რომ *ტყუილის თქმას* აზრი არა აქვს?

ა) ტყუილის თქმას არავითარი სარგებელი არ მოაქვს.
ბ) ტყუილის თქმას შთამომავლობა არ აპატიებს.
გ) ტყუილის თქმით მტერიც განრისხდება და მოყვარეც.
დ) ტყუილის მთქმელი სასუფეველს ვერ ეღირსება.

(1) 4. გურამიშვილი ამბობს: *„მართალი ვთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!“* **რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა** *„დასაკარგი“?*

ა) გასაძევებელი.
ბ) დასატყვევებელი.
გ) მისატევებელი.
დ) შესაბრალისი.

(1) 5. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: *„სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო“?*
ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ეპითეტი.

(1) 6. რის თქმა სურს ავტორს ვაზისა და ძეძვის მრგველთა შეპირისპირებით?

ა) სიკეთის მქმნელი და ბოროტების ჩამდენი არ უნდა გავაიგივოთ.
ბ) სიკეთის მქმნელი და ბოროტების ჩამდენი ერთნაირად უნდა შევაფასოთ.
გ) სიკეთის მქმნელმა და ბოროტების ჩამდენმა მორიგება უნდა შეძლონ.
დ) სიკეთის მქმნელსა და ბოროტების ჩამდენს ერთნაირი ბოლო მოელით.

(1) 7. რას გულისხმობს ავტორი სტრიქონში: *„ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“?*

ა) არასოდეს უნდა შეაქო ის, ვისაც ქება არ დაუმსახურებია.
ბ) გარკვეულ შემთხვევაში კარგიც შეიძლება შეაქო და ცუდიც.
გ) კარგი ადამიანის შექებამ შესაძლოა მისი მტრები გაანაწყენოს.
დ) ქებამ შეიძლება ცუდი ადამიანი სიკეთის გზაზე დააყენოს.

(1) 8. რა აზრია გამოხატული სიტყვებში: *„...თვით კი ავად მოუხდების“?*

ა) თვითონ გადაუხდის სამაგიეროს.
ბ) თვითონ უბიძგებს სიავისაკენ.
გ) თვითონ ცუდად მოუბრუნდება.
დ) შესაძლოა თვითონ გამოადგეს.

(1) 9. ავტორის აზრით, რას გამოიწვევს *„ფარვა სიავისა“?*

ა) მტრის დაფრთხობას.
ბ) სარწმუნოების შელახვას.
გ) ქვეყნის დაზარალებას.
დ) ქვეყნის წინსვლას.

(1) 10. რომელ სტრიქონშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო“.
ბ) „ბევრი ავი გამოჩნდება ჩვენი, მაზე მერცხვინება“.
გ) „ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაბლა მბარავს“.
დ) „მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება“.

(1) 11. ავტორის როგორი სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სტრიქონში: *„მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს“?*

ა) გაკვირვებულია.
ბ) დარცხვენილია.
გ) დასევდიანებულია.
დ) თავზარდაცემულია.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. კარგის დაფასება და წარმოჩენა საზოგადოებას იმისათვის სჭირდება, რომ უზნეობა არ გაბატონდეს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

2.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ოთარ ჭილაძის პოემიდან „თიხის სამი ფირფიტა“:

რა უბრალოა ადამიანი!
რა ცოტა ჰყოფნის, რომ იქცეს მიწად
და რა უმწეო ხმებით შრიალებს,
რასაც სიცოცხლეს არქმევს და იცავს.
მაინც არავინ არ გარბის არსად,
ცხოვრებას ყველა თავიდან იწყებს
და, თიხის დიდი თოჯინის მსგავსად,
ქალაქი ხელში უჭირავს სიცხეს.
და იმედივით ნათელს და კეთილს,
შუა ქალაქში სძინავს მდინარეს
და ატივტივებს არეკლილ კედელს
და სძინავს, ანდა თავს იმძინარებს...
ადამიანზე გამძლეა თიხა,
მაგრამ თიხაზეც გამძლეა სიტყვა,
ის, შეიძლება, უბრალო იყოს
და აუტანელ ტკივილით ითქვას...
და სიკვდილამდე იმ სიტყვას ეძებ,
მისკენ მიყავხარ უჩინარ საჭეს
და ფიქრებს, როგორც გასაწვრთნელ მხეცებს,
ყველა ტკივილის ატანას აჩვევ.

რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე,
ბევრჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ
და უკვე ყოფილ ხმებსა და ფერებს,
უნდათ თუ არა, მიწაში სძინავთ.
მხოლოდ ხანდახან თუ ამოჰყვება
მათი ნასახი წერაქვს და ნიჩაბს,
როგორც კივილი და ამბოხება,
რომელმაც ბედი მრავალჯერ სინჯა.
და მუზეუმის გრილ დარბაზებში
ცნობისმოყვარე ხალხი გროვდება.
დგანან, უცქერენ და აფასებენ
გონებას, ქცეულს ოქროს ზოდებად.
ბევრს ავიწყდება, რა დარდიც ჰქონდა,
და ახლა სულში იმედი წვეთავს.
ბევრი კი მხოლოდ იმიტომ მოდის,
ამდენი ოქრო რომ ნახოს ერთად.
დარბაზში გრილა და სიჩუმეა,
როგორც უეცარ ქუხილის შემდეგ,
და უძველესი სამაჯურები
ჯილდოებივით ჰკიდია კედლებს.
საყურეც ისე ცახცახებს ვნებით
და ისევ ასდის ნაზი სურნელი,
თითქოს არაფერს არ ნიშნავს წლები,
თითქოს არაფერს არ ცვლის... სრულებით.
და ბევრი ხვდება, რისთვისაც წუხდა,
ბევრი სულელად რჩება ბოლომდე
და მაინც ყველა მადლობას უხდის
მზით გაბრუებულ არქეოლოგებს.
არ უნდა მოხდეს დიდი ხნის მერეც
ის, რაც მომხდარა დიდი ხნის წინათ,
რადგან უთვალავ ხმებსა და ფერებს
ჯერ კიდევ მიწის წიაღში სძინავთ.
იზრდება სიცხე და ჩრდილის ფასი,
მაგრამ ცოტაა ჩრდილის მარაგი
და, თიხის დიდი თოჯინის მსგავსად,
ხელში უჭირავს სიცხეს ქალაქი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა მხატვრული საშუალებაა: *„უმწეო ხმებით შრიალებს“?*

ა) ალიტერაცია.
ბ) ალუზია.
გ) მეტაფორა.
დ) შედარება.

(1) 3. რა არის პირველი სტროფის მთავარი სათქმელი?

ა) ადამიანი სამყაროში ყველაზე უმნიშვნელო არსებაა.
ბ) ადამიანის არასრულყოფილების ნიშანი მისი უმწეობაა.
გ) ადამიანის ცხოვრება ხანმოკლე და წარმავალია.
დ) ადამიანს ამქვეყნად ყველაფრის შეცვლა შეუძლია.

(1) 4. მეორე სტროფის მიხედვით, რის სურვილს არ კარგავს ადამიანი?

ა) რომ თიხის თოჯინას დაემსგავსოს.
ბ) რომ სიცოცხლისათვის იბრძოლოს.
გ) რომ ქალაქის აურზაურს განერიდოს.
დ) რომ ჩრდილს თავი შეაფაროს.

(1) 5. რა მხატვრული საშუალებაა:

„შუა ქალაქში სძინავს მდინარეს...
და სძინავს, ანდა თავს იმძინარებს...“?

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 6. ავტორის აზრით, რას ეძებს ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე?

ა) თიხას, რომლითაც შთამბეჭდავ ფიგურას შექმნის.
ბ) ოქროს, რომლითაც მატერიალურ პრობლემებს მოიგვარებს.
გ) სიტყვას, რომლითაც საკუთარ განცდებს გადმოსცემს.
დ) ჯილდოს, რომლითაც საზოგადოების აღიარებას მოიპოვებს.

(1) 7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ბევრი კი მხოლოდ იმიტომ მოდის,
ამდენი ოქრო რომ ნახოს ერთად“.
ბ) „...და ბევრი ხვდება, რისთვისაც წუხდა,
ბევრი სულელად რჩება ბოლომდე“.

გ) „...და ფიქრებს, როგორც გასაწვრთნელ მხეცებს,
ყველა ტკივილის ატანას აჩვევ“.
დ) „თითქოს არაფერს არ ნიშნავს წლები,
თითქოს არაფერს არ ცვლის... სრულებით“.

(1) 8. ავტორის აზრით, რას გვახსენებენ მუზეუმები?

ა) რომ ადამიანთა განცდები და ვნებები მარადიული და უცვლელია.
ბ) რომ ადამიანთა მომავალი წარსულის მსგავსი აღარასოდეს იქნება.
გ) რომ სულელი ადამიანი წარსულს ყოველთვის იოლად ივიწყებს.
დ) რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი ქმნის, ადვილად ნადგურდება.

9. ვის უხდიან მადლობას მუზეუმის დამთვალიერებლები?

ა) ვინც ნაგებობებს აპროექტებს, აშენებს და მხატვრულად აფორმებს.
ბ) ვინც საარქივო ფონდებში დაცულ მასალას სწავლობს.
გ) ვინც ძველი კულტურის ნამარხ ძეგლებს ეძებს და იკვლევს.
დ) ვინც ძველ წერილობით ძეგლებს სწავლობს, აღწერს და გამოსცემს.

(1) 10. რას ან ვის უპირისპირებს ერთმანეთს ავტორი ამ ტექსტში?

ა) სიამოვნებას დახარბებულ გულსა და ოქროს ზოდებად ქცეულ გონებას.
ბ) სიცოცხლის დაუოკებელ წყურვილსა და გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინს.
გ) ქუჩებში მოხეტიალე ადამიანებსა და მუზეუმებში შეკრებილ რჩეულ საზოგადოებას.
დ) ჩაძინებულ გრილ მდინარესა და სიცხით გათანგულ მშფოთვარე ქალაქს.

11. რას გვეუბნება ავტორი სიტყვებით:

„...უთვალავ ხმებსა და ფერებს
ჯერ კიდევ მიწის წიაღში სძინავთ“?

ა) ადამიანს შორეულ წარსულში მომხდარი ამბების სრულყოფილად აღქმა არ შეუძლია.
ბ) ადამიანმა ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის თავისი წინაპრების მოღვაწეობის შესახებ.
გ) მეცნიერება ბევრ აუხსნელ ფაქტს საზოგადოებას დღემდე შეგნებულად უმალავს.
დ) წარსულის არცოდნა ადამიანს ხელს არ უშლის, რომ ცხოვრება რეალურად აღიქვას.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. საჭიროა თუ არა წარსულის ცოდნა იმისათვის, რომ სწორად განსაზღვრო მომავალი.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

3.

ყურადღებით წაიკითხეთ „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთი, რომელშიც მოთხრობილია ხატაელებთან ომში გამარჯვებული ტარიელის ინდოეთში დაბრუნების ამბავი:

წიგნი დავწერე: „მეფეო, სვემცაა თქვენი სვიანად!
მე ხატაელთა მიმუხთლეს, თუცა მათ ეცა ზიანად.
ჩემი ამბავი დასტური ამად გაცნობე გვიანად;
მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად“.

რა ყველაი დავიურვე, ხატაეთით გავემგზავრე,
წამოვიხვენ საჭურჭლენი, სახელმწიფო დავიავრე,
ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე,
მოვირჭვენ და მოვივლინე, რაცა მწადდა, აგრე ვყავ-რე.

ხატაეთისა ხელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია.
ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია;
რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!
ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილია.

ედგნეს ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,
საუბრისა და ჭვრეტისა ჩემისა მას მონდომილსა.
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდახდომილსა;
მიალერსებდა, მიჭვრეტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.

მას ღამით ვსხედით ნადიმად, მუნ ამოდ გავიხარენით,
დილასა ქალაქს შევედით, მოედნით ავიყარენით,
მეფემან ბრძანა: „ლაშქარნი მიხმენით, შემომჯარენით,
დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით!“

რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე,
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!

მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.
ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა:
„შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?“

მე ვჰკადრე: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“.
რამაზს უბრძანეს: „იცოდი, გაგგზავნით შეწყალებულსა,
მაგრა ნუ გნახავთ კვლაცაღა ჩვენს წინა გაწბილებულსა!“

ხარაჯა დასდვეს, შეჰკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,
კვლა ხატაური ათასი, სხვა – სტავრა, სხვა – ატლასია.
მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია.

ხატაელმან დაუმადლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,
მოახსენა: „ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.
თუ რა ოდეს შე-ღა-გცოდო, მაშინ მომკალ მეცა განა!“
წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **2. რას ნიშნავს ტარიელის სიტყვები:** *„მე ხატაელთა მიმუხთლეს, თუცა მათ ეცა ზიანად“?*

ა) ხატაელების ღალატმა მე დიდად დამაზიანა.
ბ) ხატაელებს ღალატი თავადვე ექცათ სანანებლად.
გ) ხატაელთა ღალატმა სხვა მტრებიც აგვიმხედრა.
დ) ხატაელთა ღალატის შედეგები ჯერაც უცნობია.

(1) **3. როგორ წარმოაჩენს ტარიელი საკუთარ თავს:** *„მოვირჭვენ და მოვივლინე, რაცა მწადდა, აგრე ვყავ-რე“?*

ა) როგორც დამთმობსა და გულმოწყალეს.
ბ) როგორც თავმდაბალსა და ლმობიერს.
გ) როგორც მიმნდობსა და გულუბრყვილოს.
დ) როგორც ძლევამოსილსა და გამარჯვებულს.

(1) **4. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში:** *„ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია“?*

ა) ალუზია.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 5. რა მოისურვა ქალაქში დაბრუნებულმა მეფემ?

ა) დიდი პურობის გამართვა.
ბ) ლაშქრის დასასვენებლად გაშვება.
გ) ტარიელის ჭრილობის ნახვა.
დ) ხატაელ ტყვეებთან შეხვედრა.

(1) 6. მოღალატის მიმართ მეფის როგორი დამოკიდებულება ჩანს ფრაზაში: *„ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა“?*

ა) გულგრილი.
ბ) მტრული.
გ) ტაქტიანი.
დ) უკმეხი.

(1) 7. რა აინტერესებდა მეფეს, როცა ტარიელი დილაუთენია იხმო?

ა) აპატიებდა თუ არა ტარიელი რამაზს ღალატს.
ბ) რა იყო რამაზ მეფის ღალატის მიზეზი.
გ) რა სასჯელი უნდა გამოეტანათ რამაზისთვის.
დ) რას აპირებდა ტარიელი გამარჯვების შემდეგ.

(1) 8. რა პირობით გაათავისუფლეს რამაზი?

ა) არასოდეს აღარ უღალატებდა ინდოეთს.
ბ) არავის წინააღმდეგ აღარ გაილაშქრებდა.
გ) ომის შემთხვევაში ინდოეთს მიეშველებოდა.
დ) ხატაეთის მეფობაზე უარს იტყოდა.

(1) 9. რას ნიშნავს სიტყვები *„ხარაჯა დასდვეს“?*
ა) მონანიება მოსთხოვეს.
ბ) მწარედ გაკიცხეს
გ) პირობა ჩამოართვეს.
დ) ხარკი დააკისრეს.

(1) 10. რომელ სტრიქონში გვხვდება მხატვრული საშუალება?

ა) „დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყვენიცა შემომგვარენით“.
ბ) „მიალერსებდა, მიჭვრეტდა წინაშე ახლოს ჯდომილსა“.
გ) „ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე.“
დ) „ხატაეთისა ხელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია“.

(1) 11. ტარიელის აზრით, რით უნდა მიემსგავსოს მეფე ღმერთს?

ა) ორგულები დასაჯოს.
ბ) ქვეშევრდომებზე იზრუნოს.
გ) მოღალატეები შერისხოს.
დ) ცოდვილები შეიწყალოს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. გამართლებულია თუ არა დამარცხებული მტრის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

4.

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „ფეოდალი“:

შენ გეზიზღება,
გეზიზღება მთელის არსებით
ის – ნაქურდალით მდიდარი და სულით ღატაკი.
ამპარტავანი ფეოდალივით
ცხვირწინ ბეჭდიან ხელს გიტრიალებს,

ჭრიალებს სიტყვა და იატაკი.

ის საქართველოს სვამს სადღეგრძელოს
და იზნიქება რესტორანში კუთხე მაგიდის,
როგორც ყიდიან მშენებლობის აგურს და ცემენტს,
ხვალ რომ დასჭირდეს,
საქართველოს ისე გაყიდის.

მოძრაობს პირის ბნელ ორმოში იმისი ენა
და ხარ გასვრილი, დამცირებული,
თითქოს მანქანამ შემოგასხა ქუჩაში ტლაპო.

შენ გეზიზღება...
მორღვეული პირი მიუგავს
ძველი მანქანის აწეულ კაპოტს.

ტალახიანი არის სიტყვა, ვით გასტრონომში
არის ნახერხი ტალახიანი.
ტალახიანი არის ღიმილი.
იგი დასცინის პატიოსნებას
და ეს ღიმილი სულაც არ არის
ამოუხსნელი, ვით ფაქსიმილე[1].
 გული გერევა,
მოიშორო გინდა თავიდან,
განა იმიტომ, რომ უზომო ღვინო დალია,
შენ გეზიზღება სახე მტაცებლის.
იგი გოროზი, გულღვარძლიანი
და თავგასული ფეოდალია.

ო, საუკუნე რომ იყოს ახლა
ან მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე,
იანიჩარად ან მამელუქად
სადმე სტამბოლში რომ გაეყიდე,
ალბათ დამბაჩით წინ გაგიგდებდა,
გაგაყოლებდა ზღვაში ფელუკას[2],

ხელს შეუწყობდა შენი ერის გადაშენებას
და ვით სჩვეოდა რეგვენ ფეოდალს,
განუდგებოდა რჯულსა და მეფეს
ისე, რომ ალბათ,
წარბი არც კი შეერხეოდა.

ის ახლა ზის და კონიაკის ცრემლებით ტირის...

---

[1] **ფაქსიმილე** – ხელნაწერის, საბუთის, ხელმოწერის ზუსტი პირი.
[1] **ფელუკა** – მომცრო იალქნიანი გემი.

შეგფიცა ძმობა.
დაშორდებით ერთმანეთს ძმებად.
და ყავისფერი იმისი ხელი
შენს მხარზე თითქოს გატრუნული ხვლიკივით თბება,

ის მალავს თავის უვიცობას მოსწრებულ სიტყვით,
ლაზღანდარობით,
ყურმოკრულით.
არის ბოსელი
გამოსაგველი მისი სული და ხალხს ატყუებს,
რომ თითქოს იყოს იარაღი პატიოსნების.

ის თვალთმაქცია,
თავხედია,
პატივმოყვარე.

მთელის არსებით გეზიზღება და გეზარება.
ის არის ხარბი –
მომხვეჭელობა გადამდებია,
როგორც მთქნარება.

გალაღებული ეხუმრება ოფიციანტებს,
ნაქურდალს ფანტავს სასადილოში,
თითქოს დაგადის ზედ ლოკოკინა,
როცა გეხვევა და ნასვამი სახეს გილოშნის.

შენ დამარცხდები,
თუ ბევრ რამეს შეურიგდები.
ლოჟის სიღრმეში მიმალულმა შენი ერისთვის
როგორ გასწიო სამსახური.

ხმა ამოიღე!..
ნუა პატივში საქმოსანი და აფერისტი.

სარგებლობს შენი მორიდებით,
გულკეთილობით,
სარგებლობს შენი მოთმინებით,
შენი დუმილით.
შენ უფრთხილდები შენს სიმშვიდეს და მყუდროებას,
საუბრობ ძვირფას აჩრდილებთან მედიუმივით[3].

ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება მკაცრი...
კაცი, ურცხვი და უტიფარი თავს დაგდგომია.

---

[3] **მედიუმი** – შუამავალი ადამიანებსა და სულებს შორის.

ხმა ამოიღე,
დამნაშავეს გადაეღობე,
არ დაიხიო,
არ დაუთმო,
ესეც ომია!..

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული შემდეგ სტრიქონებში:**

„ამპარტავანი ფეოდალივით
ცხვირწინ ბეჭდიან ხელს გიტრიალებს“.

ა) მეტაფორა.
ბ) ეპითეტი.
გ) გაპიროვნება.
დ) შედარება.

(1) **3. პოეტი ამბობს:** *„და ხარ გასვრილი, დამცირებული, თითქოს მანქანამ შემოგასხა ქუჩაში ტლაპო“.*

რა იწვევს მის ამგვარ განცდას?

ა) თანამესუფრის აგრესიულობა.
ბ) თანამესუფრის აშკარა უპირატესობა.
გ) თანამესუფრის თვალთმაქცობა.
დ) თანამესუფრის ღვარძლიანი საუბარი.

(1) **4.** *ფეოდალის* **რა თვისება ჩანს ავტორის სიტყვებში:**

„იგი დასცინის პატიოსნებას
და ეს ღიმილი სულაც არ არის
ამოუხსნელი...“?

ა) გამჭრიახობა.
ბ) ენამახვილობა.
გ) თავმოწონება.
დ) უტიფრობა.

(1) **5. რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ** *ფეოდალი* **ქვეყნის ღალატსაც კი იკადრებს?**

ა) „ალბათ დამბაჩით წინ გაგიგდებდა, გაგაყოლებდა ზღვაში ფელუკას“.
ბ) „განუდგებოდა რჯულსა და მეფეს ისე, რომ ალბათ, წარბი არც კი შეერხეოდა“.
გ) „ის არის ხარბი – მომხვეჭელობა გადამდებია, როგორც მთქნარება“.

დ) „ის თვალთმაქცია, თავხედია, პატივმოყვარე. მთელის არსებით გეზიზღება და გეზარება“.

(1) 6. რომელი ფრაზა გამოხატავს ავტორის ირონიულ დამოკიდებულებას?

ა) „გალაღებული ეხუმრება ოფიციანტებს“.
ბ) „ის ახლა ზის და კონიაკის ცრემლებით ტირის“.
გ) „ის თვალთმაქცია, თავხედია, პატივმოყვარე“.
დ) „კაცი, ურცხვი და უტიფარი თავს დაგდგომია“.

(1) 7. როგორ ადამიანს გულისხმობს ავტორი სიტყვებში:
„ლოჟის სიღრმეში მიმალულმა შენი ერისთვის
როგორ გასწიო სამსახური“?

ა) ბოროტებასთან მებრძოლს.
ბ) ბრძოლით დაღლილს.
გ) სუსტს, მაგრამ პრინციპულს.
დ) ყველაფერთან შემგუებელს.

(1) 8. კონტექსტის მიხედვით, როგორი ადამიანი არის *საქმოსანი?*

ა) რომელიც ყოველთვის საქმით არის დაკავებული, უსაქმოდ არ ჩერდება.
ბ) რომელიც საქმეს გულს ვერ უდებს, უპასუხისმგებლოდ ეკიდება.
გ) რომელიც საქმეს კარგად ვერ ასრულებს, არაპროფესიონალია.
დ) რომელიც საქმიანობას მხოლოდ პირადი ინტერესებით წარმართავს.

(1) 9. როგორ უნდა დაუპირისპირდე გაიძვერა, თაღლით ადამიანს?

ა) შემწყნარებლობითა და მიტევებით.
ბ) მხილებითა და წინააღმდეგობის გაწევით.
გ) ღირსეული წინაპრების გახსენებით.
დ) კეთილგანწყობითა და მაგალითის მიცემით.

(1) 10. რატომ წერს ლექსის ავტორი: *„ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება მკაცრი...“?*

ა) ამგვარ სიმშვიდეს არეულობა და შფოთი მოჰყვება.
ბ) ამგვარ სიმშვიდესა და მოთმინებას არავინ დააფასებს.
გ) ამგვარი სიმშვიდის შედეგად კეთილდღეობას დავკარგავთ.
დ) ამგვარი სიმშვიდის შედეგად ბოროტება გაძლიერდება.

(1) 11. როგორი ადამიანის განზოგადებული სახეა *ფეოდალი?*

ა) არხეინისა და დარდიმანდის.
ბ) ლაღისა და ამაყის.
გ) უსაქმურისა და ზარმაცის.
დ) უპატიოსნოსი და მომხვეჭელის.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. როდესაც ადამიანი თვალს ხუჭავს უზნეობაზე, მისი თანამონაწილე ხდება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

5.

ყურადღებით წაიკითხეთ პაოლო იაშვილის ლექსი „წერილი დედას“:

დავტოვე სოფელი –
მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები,
სიმინდის ყანა!

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები,
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე – სალახანა.

ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი,
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი[4],

[4] **ბათმანი** - მარცვლეულის ან ფქვილის საწყაო ერთეული.

როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!
მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,
იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი,
როცა გაიხარა, რომ მე მეჭრებოდა პირველი კბილი;
როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი,
და ვაზის ფურცელზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი,
ვით თვალის უპე, როცა არ მახურავს ღამეში საბანი.

დედა! ინახულე
შენ წმინდა ხახული!
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე,
ღმერთო! აპატიე, –
მე თუ ვერ მიშველი –
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ლექსი?

ა) მოდერნიზმს.
ბ) რეალიზმს.
გ) რომანტიზმს.
დ) პოსტმოდერნიზმს.

(1) 3. როგორია ლექსის ლირიკული გმირის თვალით დანახული სოფელი?

ა) თანამედროვე და განვითარებული.
ბ) თბილი და ჰარმონიული.
გ) მოწყენილი და მგლოვიარე.
დ) ღარიბი და ჩამორჩენილი.

(1) 4. რას ნიშნავს სიტყვა *სალახანა?*

ა) საცოდავს.
ბ) უზნეოს.
გ) უძლურს.

დ) ღარიბს.

(1) 5. რის გამოხატვა სურს ავტორს სიტყვებით: *„და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი...“?*

ა) სოფელი მართალ კაცს არასდროს ჩაგრავს.

ბ) სოფელი რელიგიურ სიწმინდეებს უფრთხილდება.

გ) სოფელში ადამიანები ერთმანეთს არ ატყუებენ.

დ) სოფლის სიმდიდრე სიმინდის უხვი მოსავალია.

(1) 6. რის წარმოჩენა სურს ავტორს ქალაქური გარემოსა და სოფლური ყოფის დაპირისპირებით?

ა) იმდროინდელი მოდური ტენდენციებისა და ჩაცმის სტილის.

ბ) ლექსის ლირიკული გმირის მძაფრი სულიერი განცდების.

გ) სოფლურ ყოფაზე ქალაქური ცხოვრების აშკარა უპირატესობის.

დ) ქურდული სამყაროს სასტიკი და დაუნდობელი ბუნების.

(1) 7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „და ვაზის ფურცელზე ისე გალურჯდება იქ შაბიამანი,
ვით თვალის უპე, როცა არ მახურავს ღამეში საბანი“.

ბ) „დავტოვე სოფელი...
ქვიტკირის მარნები
და კატის კნუტები...“

გ) „მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ...“

დ) „როცა მე ქურდები მეგობრად მრაცხავენ,
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი...“

(1) 8. ლირიკული გმირის რა განცდა ჩანს ამ მონაკვეთში:

„როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი“?

ა) აღტაცებულია.

ბ) გაღიზიანებულია.

გ) დარცხვენილია.

დ) თავდაჯერებულია.

(1) 9. რომელი ფრაზით მიგვანიშნებს ლირიკული გმირი, რომ ქალაქური გარემო ადამიანებს თრგუნავს?

ა) „იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი,
როცა გაიხარა, რომ მე მეჭრებოდა პირველი კბილი“.

ბ) „იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!“

გ) „ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი“.

დ) „ღმერთო! აპატიე, –
მე თუ ვერ მიშველი
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგრძე სანთელი...“

(1) 10. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში:

„...ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი“?

ა) ალუზიას.
ბ) ეპითეტს.
გ) მეტაფორას.
დ) შედარებას.

(1) 11. რა მიზნით სურს ლექსის ლირიკულ გმირს დედისათვის წერილის მიწერა?

ა) აფორიაქებული მშობლები რომ დაამშვიდოს.
ბ) დედის ლოცვამ განსაცდელისაგან რომ დაიფაროს.
გ) დედ-მამას ახალგაზრდობის წლები რომ გაახსენოს.
დ) მშობლები მატერიალურად რომ დაეხმარონ.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. რამდენად რთული და მტკივნეულია ახალ გარემოსთან შეგუება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

6.

ყურადღებით წაიკითხეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე – ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება მოცემული ლექსი?

ა) პოსტმოდერნიზმს.

ბ) რეალიზმს.
გ) რომანტიზმს.
დ) სიმბოლიზმს.

(1) 3. რა მიზნით განმარტოვდა ლექსის ლირიკული გმირი ბუნების წიაღში?

ა) სატრფოს გამო ცრემლის დასაღვრელად.
ბ) სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად.
გ) ქვეყნის გადარჩენის გზის საპოვნელად.
დ) ძვირფასი ადამიანების მოსაგონებლად.

(1) 4. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ვინ იცის, მტკვარო, რას ჰბუტბუტებ...“?*

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) 5. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვები: *„მოწამე ხარ“?*

ა) აღზევებული ხარ.
ბ) დაჩაგრული ხარ.
გ) მომსწრე ხარ.
დ) ტანჯული ხარ.

(1) 6. რომელი ადამიანური თვისებაა გამოხატული მონაკვეთში:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“?

ა) მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა.
ბ) მიღწეულით კმაყოფილება.
გ) სამშობლოსადმი თავდადება.
დ) ღვთისადმი ერთგულება.

(1) 7. უძლეველი მეფეების რომელ თვისებას აღნიშნავს ავტორი ლექსში?

ა) აგრესიულობას.
ბ) თანამემამულეთა ჩაგვრას.
გ) უცხოტომელთა მფარველობას.
დ) შემწყნარებლობას.

(1) **8. რა აზრია გამოხატული სტრიქონში:** *„აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“?*

ა) ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყველაფერი წარმავალია.
ბ) მიწა-წყლის პატრონობა მეფეთა ვალია.
გ) სამშობლოს დაცვა დიდი პასუხისმგებლობაა.
დ) ღვთისადმი მსახურება ყველას ვალდებულებაა.

(1) **9. რა არის კეთილი მეფის მიზანი?**

ა) მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწიოს.
ბ) სასუფეველში დაიმკვიდროს ადგილი.
გ) სახელმწიფოს საზღვრები გააფართოოს.
დ) შთამომავლობამ კარგად მოიხსენიოს.

(1) **10. რომელ სტრიქონში გვხვდება მხატვრული საშუალება?**

ა) „და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“
ბ) „იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა“.
გ) „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?“
დ) „მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა...“

(1) **11. რას ნიშნავს სიტყვა** *„სოფელი“* **უკანასკნელ სტროფში?**
ა) მოსასვენებელ ადგილს.
ბ) რეალურ სამყაროს.
გ) უხილავ სამყაროს.
დ) ცათა სასუფეველს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:
ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა ადამიანს ავალდებულებს, რომ არ განუდგეს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

7.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „ამაყი“:

– დედილო!
– ა, შვილო?
– არ ღირს, დედილო, ასე ცხოვრება: ან მოკვდეს კაცი და ან ცოცხალი იყოს!..
– რათა, შვილო, რა მოგივიდა?
– მომწყინდა, დედილო, მომწყინდა! მტერს არ ეშინია და მოყვარე არაფრად მაგდებს. ფუი, ასეთ ცხოვრებას!
– რატომ, შვილო? როგორც სხვა ცხოვრობს, ისე ჩვენც ვაჯახირებთ წუთისოფელს!..
– სხვა, სხვა! სხვა რა ჩემი მაგალითია! კაცს მზესავით უნდა გიყურებდეს ყველა: ხან სასურველი უნდა იყო, – აი, იქნებ გამათბოსო; ხან კი საწყევარი, – ვაი, როდის გადავრჩები ამ კაცსო! – თვარა ძლოკვივით დასრიალობ შენთვის. თუ ვინმე ფეხს წაგკრავს, თვარა ისე, შორს მყოფს არც კი შემოგხედავს.
– მერე რა გინდა?
– ციხეს ავიღებ.
– გადირიე?
– გადვირიე კი არა, – ავიღებ!..
– მოგკლავენ, შვილო! შენს ელიზბარს ვისღა უტოვებ...
– ჯანი გავარდეს მასაც და მეც!
– რაღა ამ ციხეს ჩააჟინდი?
– მაგან გამოგვწოვა სისხლი, რაც მაგ წუწკები აქ ჩამოეთესლენ და ციხის კარები თავისთვის მიიხურეს, ტკბილი აღარ ყოფილა არც ძილი და არც მუშაობა!
– ასე ვიყავით მუდამ...
– რას ამბობ დედილო? ჩვენი ბატონი მკაცრი იყო, რომ მოგვშივდებოდა, ერთს კოდს პურს მაინც ვისესხებდით. კათალიკოზი რომ მოვიდოდა, ეკლესიაში ყველა გავიგონებდით ტკბილ სიტყვას... ეჰ, მისი სიტყვები ახლაც გულს ჩამრჩენია; ბატონის მომღერლების ხმა რა სევდით ჩამგუგუნებდა გულში! ლექსები განა მეც არ მესმოდა? ხატავდნენ ბატონის დარბაზს, განა მეც არ ვხედავდი და თვალი არ ძღებოდა? ეჰ, რა ჩამოვთვალო! ახლა კი ბურდღულებენ რაღაც გაუგებარს... იქნება კარგიცაა – ღმერთმა იცის! რაც სახეირო იყო, სადღაც წაიღეს – ელიზბარს რაღაი ვაჩვენო!..

– ეჰ, მივდივარ, დედილო, მარტო არ მინდოდა წასვლა – არავინ წამყვა, ამ ჩემს ბოღმას მაინც ამოვიღებ გულიდან! მერე რაც იქნება, იქნება...
ციხის კარს ვიღაცამ ძალუმად დაუკაკუნა.
– ვინ ხარ?
– გააღე.
– ხვალ მოდი.
– ახლა გააღე!

– ვისთან გაქვს საქმე?
– შენთან!
– ვერ გიცნობ!
– გაუღე! ერთია, რას გვიზამს?! – მოისმა მეორე დარაჯის ხმა.
კარის გაღებაზე ახლად შემოსულმა ხმალი შეაბრიალა. ერთი დარაჯთაგანი წაიქცა.
– ეს ერთი! – წაილაპარაკა შემოსულმა.
– ესეც მეორე! – დააყოლა შემოსულმა.
ციხეში ჩოჩქოლი შეიქნა.
– ვიღაც გახელებულა.
– შეკარით!
– ეს მესამე.
– ეს მეოთხე!
– მოკალით! უსათუოდ ბნედანაცემია!
– გახელებულა!
– ეს მეხუთე!
– ერთად მივარდით ოთხივ მხრით და ასწიეთ შუბებზე.
– ესეც მეექვსე... ვაი, მომკლეს!.. ჯანი გამვარდნია. არაფერი წამიგია. მტვრად, არარაობად ვითვლებოდი ქვეყნის თვალში... არაფერი, მტვერი ვიქნები მიწაში...
– ვინაა? – კითხულობდენ მეციხოვნენი.
– აქაური სოფლელია!
– გადაირია, თუ რა დაემართა?
– გახელდა – ეტყობა.
– არც გახელებულა და არც გადარეულა, ჩვენგან განთავისუფლება უნდოდა.
– მერე, ერთი შეგვებრძოლა?..

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. პერსონაჟის როგორი სულიერი მდგომარეობა ჩანს სიტყვებში: *„მტერს არ ეშინია და მოყვარე არაფრად მაგდებს“?*

ა) გაურკვევლობა დაუფლებია.
ბ) გულგრილობა დაუფლებია.
გ) თავს დამცირებულად გრძნობს.
დ) თავს მხნედ გრძნობს.

(1) 3. რას ნიშნავს *„ვაჯახირებთ წუთისოფელს“?*

ა) ტანჯვა-წვალებით გაგვაქვს თავი.
ბ) მომავლის იმედით ვცოცხლობთ.
გ) წარსულის გახსენებით ვსაზრდოობთ.
დ) სხვებზე უკეთესად მაინც ვცხოვრობთ.

(1) 4. რაზე მიგვანიშნებს პერსონაჟის სიტყვები: *„სხვა, სხვა! სხვა რა ჩემი მაგალითია!“?*

ა) სხვათა მსგავსად ცხოვრება არ სურს.
ბ) სხვებზე გავლენის მოხდენა სურს.
გ) ყველას მიმართ აგრესიულადაა განწყობილი.
დ) გამორჩეული ადამიანების მიბაძვას ცდილობს.

(1) 5. რომელ ფრაზაში ჩანს პერსონაჟის თავგანწირვის მოტივი?

ა) „ლექსები განა მეც არ მესმოდა?“
ბ) „ელიზბარს რაღაი ვაჩვენო!..“
გ) „მარტო არ მინდოდა წასვლა – არავინ წამყვა“.
დ) „მისი სიტყვები ახლაც გულს ჩამრჩენია“.

(1) 6. დედის როგორი სულიერი მდგომარეობა ჩანს მის სიტყვებში: *„ასე ვიყავით მუდამ...“?*

ა) ბედს არის შეგუებული.
ბ) თავს დაჩაგრულად გრძნობს.
გ) უკეთეს ცხოვრებას მოელის.
დ) სასოწარკვეთილებაში არის ჩავარდნილი.

(1) 7. რა მიზნით ახსენებს შვილი დედას წარსულის ამბებს?

ა) აწმყოზე წარსულის უპირატესობა რომ დაამტკიცოს.
ბ) წარსული და აწმყო ერთმანეთთან რომ გააიგივოს.
გ) დედას კათალიკოსის ტკბილი საუბარი რომ მოაგონოს.
დ) დედას ბატონისადმი პატივისცემა რომ შეახსენოს.

(1) 8. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„ახლად შემოსულმა ხმალი შეაბრიალა“?*

ა) ეპითეტი.
ბ) შედარება.
გ) მეტაფორა.
დ) ალუზია.

(1) 9. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა *„ბნედანაცემი“?*

ა) აღტაცებული.
ბ) დამწუხრებული.
გ) გაგიჟებული.
დ) ფრთაშესხმული.

(1) 10. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ან მოკვდეს კაცი, ან ცოცხალი იყოს!..“
ბ) „ერთს კოდს პურს მაინც ვისესხებდით“.
გ) „მომღერლების ხმა რა სევდით ჩამგუგუნებდა გულში!“
დ) „ხატავდნენ ბატონის დარბაზს, განა მეც არ ვხედავდი“.

(1) 11. **რატომ ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი ციხეში შეჭრილი კაცის შესახებ:** *„გახელდა – ეტყობა“?*

ა) ვერ წარმოედგინა, რომ ერთი ადამიანი ამდენი მეციხოვნის დახოცვას შეძლებდა.
ბ) სურდა, რომ ციხეში შემოჭრილი ადამიანის გახელება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.
გ) სურდა, ამით ციხეში შემოჭრილი ადამიანის საქციელი როგორმე გაემართლებინა.
დ) ვერ წარმოედგინა, რომ საღ გონებაზე მყოფი ადამიანი მეციხოვნეებს მარტო შეებმებოდა.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. **აქვს თუ არა აზრი ბრძოლას, როდესაც იგი იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული.**

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

8.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობიდან „ხევისბერი გოჩა“:

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყივნებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

– რაი ბედენაა, მარტო ვიყავ, თუ არა? – ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: – თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ, თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდნიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის, ჩემს გაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწმე ღმერთია!.. ცხოს ნუღარას მკითხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს.

ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა, დაიკრიფა გულხელი და გაჩუმებული დადგა. ყოველ კითხვაზედ ის მუნჯად რჩებოდა და მისი სიჩუმე მძიმე ლოდად აწვებოდა ონისეს.

ხალხი გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც გოჩას შემოჰხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ.

ერთბაშად გაიშალა კრება და მსმენელთ გულის ძგერამ უფრო იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელს სამზღვრამდის მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიჩუმის დროს წამოდგა გოჩა.

– ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა გაწირული, მოშორებული იყოს თემისაგანაც, სოფლისაგანაც და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ არც ვის არა აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდ ნახა, მიაწოდოს წყალი, თუ

მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური, თუ მშიერი ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მის ხვეწნის გასაგებად... ხევის მთავარ-ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს და გადამბრუნებელს შენა რის...

– შესდექ, ხევისბერო! გუგუა მართალია! – დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო.

ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო. გოჩამ შეარყია დროშა და ზარების ხმასთან ერთად ხმამაღლად მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

– იყუჩეთ! – და ამ ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაჩქურდა.

– სთქვი, რას ამბობდი?

– გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანერთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

– ეგ ვიღამ გიამბო? – ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეჭვისაგან თვალები აენთო.

– ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა! – ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლად ცახცახებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

– მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედ-მამის საფლავიდგან ამომგდებო!.. რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ!.. – ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: – მოძმეთ სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!

კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

– გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რას ნიშნავს: *„არ უნდოდა... მოეყივნებინა“?*

ა) არ უნდოდა ისიც გაესამართლებინათ.

ბ) არ უნდოდა სამუდამოდ დაევიწყებინა.

გ) არ უნდოდა საქვეყნოდ შეერცხვინა.

დ) არ უნდოდა დამნაშავედ გამოეცხადებინათ.

(1) 3. რის თქმა სურს გუგუას სიტყვებით: *„რაი ბედენაა...?“*

ა) დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბ) გამამართლებელი გარემოებაა.

გ) მნიშვნელობა არა აქვს.

დ) გამამტყუნებელი ვითარებაა.

(1) 4. რატომ იმოწმებს გუგუა ღმერთს, როცა თავის უდანაშაულობას ამტკიცებს?

ა) მსაჯულებს თავი რომ შეაცოდოს.
ბ) ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინოს.
გ) თავისი საქციელი რომ მოინანიოს.
დ) თემისაგან მოკვეთა თავიდან რომ აირიდოს.

(1) 5. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: *„სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს“?*

ა) მეტაფორა.
ბ) ეპითეტი.
გ) ირონია.
დ) შედარება.

(1) 6. რის თქმა სურს გოჩას სიტყვებით: *„ღმერთო... რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ“?*

ა) ფიქრობს, რომ სასჯელი უსამართლოა, თუმცა ღვთის ნებას ვერ დაუპირისპირდება.
ბ) უკმაყოფილოა გუგუასთვის გამოტანილი სასჯელით და ღვთის წინაშე თავს იმართლებს.
გ) მიიჩნევს, რომ გუგუასთვის გამოტანილი სასჯელი ღვთის ნების გამოხატულებაა.
დ) სურს, რომ გუგუა, რომელიც სასტიკად ისჯება, ღმერთს შეავედროს.

(1) 7. ონისეს როგორ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: *„თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო“?*

ა) აღშფოთებულია.
ბ) შეშინებულია.
გ) აღელვებულია.
დ) დაბეჩავებულია.

(1) 8. კონტექსტის მიხედვით, რას ნიშნავს სიტყვა *„გაჩქურდა“?*

ა) გაჩუმდა.
ბ) ახმაურდა.
გ) შეგროვდა.
დ) შეშინდა.

(1) 9. ონისეს რომელ თვისებაზე მიუთითებს მისი მცდელობა, გუგუას სასჯელი აარიდოს?

ა) პატივმოყვარეობაზე.

ბ) მოხერხებულობაზე.
გ) სამართლიანობაზე.
დ) თავშეკავებულობაზე.

(1) 10. რომელ სტრიქონში გვხვდება მხატვრული საშუალება?

ა) „კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ“.
ბ) „ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა“.
გ) „ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა“.
დ) „კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას...“

(1) 11. კონკრეტულად რის გამო სდებს ბრალს ხევისბერი ონისეს სიტყვებით: *„დედ-მამის საფლავიდგან ამომგდებო!..“?*

ა) გადამწყვეტი ბრძოლის დროს გამოჩენილი ლაჩრობის გამო.
ბ) წინაპრების სახელის შერცხვენისა და ღირსების შელახვის გამო.
გ) ახლო მეგობრის ღირსების გამიზნულად ფეხქვეშ გათელვის გამო.
დ) თემში დამკვიდრებული ტრადიციის აბუჩად აგდების გამო.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. უნდა ეპატიოს თუ არა ადამიანს შეცოდება მისი ყმაწვილკაცობის გამო.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

9.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები გურამ დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“:

– ბრიყვებო, ძმებო! – ბრბოს მოუხმობდა თმაწვერაბურდული მენდეს მასიელი, – დიდი ხნის წინათ, უგუნურებო, ასურეთის ფხვიერ მიწაზე კერპი მოლოქე ამოიზარდა, ყური დამიგდეთ! – ჯერ

კაცი იყო, სპილენძად იქცა... ღვინო იყო თუ დამდგარი წყალი, პური იყო თუ გამომშრალი ძნა, სუყველაფრიდან თავის წილს ითხოვდა! კაცი იყო, და სპილენძად იქცა...

– ჯერ ხნულში იდგა მოლოქე იგი, ისიც სხვასავით ჯერ გლეხი გახლდათ, იმის მეზობელს კი იანე ერქვა – ერთი თქვენსავით ჩვეულებრივი კაცი იყო... მაგრამ მოლოქემ ერთ დაწყევლილ დღეს თვალში შეხედა. საღამო იდგა და ძილისწინა მიყუჩებისას, დაღლილ იანეს სოხანეზე დაგებულ ცხვრის ტყავებისკენ რომ ეზიდებოდა ნამუშევარი, დგომით დაღლილი წვრილი ფეხები, თითქოს ახლახან გამოღვიძებულ მოლოქეს თვალებს წააწყდა, და შეეშინდა! და რადგან ჯერაც არ გაჩენილა ამქვეყნად ისეთი ბზარი, სადმე სხვაგან რაიმე რომ არ გაემაგრებინოს, იმ ყურებისას მოლოქე იგი – გოროზდებოდა, ღონეს იკრეფდა, უმაგრდებოდა წყეული გული, ერთმანეთს თვალებში შესცქეროდნენ და საცოდავი იანე კიდევ პატარავდებოდა მთლად...

– საღამოვდებოდა, ძმებო, და ქანცგაწყვეტილ იანეს თავის ქოხამდე რომ მიეღწია, ვახშამი დაწნულ კალათში ედო, მისავათებული, გზადაგზა უნდა შექცეოდა, მაგრამ ახლა, დაშინებულს, მცირე კალათი აღარ ახსოვდა, ისე ეჭირა, იდგა და იჩუტებოდა საბრალო, ბრიყვი, მოლოქემ კი ისე, რომ იანეს თვალთაგან დაჟინებული მზერა არც მოუცილებია, კალათში ჩაუძვრინა ხელი, მაჯამდე ჩაყო და, მოაფათურა, ცივად მოხარშულ რაღაც პირუტყვის გულ-ღვიძლს წააწყდა, ამოიღო, და, ერთხელაც არ დაუხამხამებია - უმზერდა ისევ - იანეს ვახშამს ასე შეექცა…

– და გაძღა, გაძღა, ზედმეტად გაძღა მოლოქე იგი, მკლავებში ძალა ჩაებუდა, პირში – სიმყრალე, და მეორე დღეს ვეღარ იკმარა იანეს ხორცი. და ახლა სხვისას წაეპოტინა, ღონიერისას უფრო, რადგან მოლოქეს ახლა სხვა ძალაც ეგულებოდა – ბეჩავ იანეს თვალებიდან რომ ამოუწოვა, ის... ქვეყნად არარა არ იკარგება, ოღონდ ხანდახან გვავიწყდება ხოლმე და, ძმებო, იანეს ღონეც შემოიმატა ბინძურ სხეულში მოლოქემ, მომავალმა კერპმა, და სხვაც დაჩაგრა. ისინი, ბრიყვნო, ცალ-ცალკე იყვნენ, თავის ოჯახში, თავიანთ შემოღობილში, თავ-თავიანთ სოროში, სწორედ თქვენსავით – და რარიგ კოხტად ცხენს აჭენებდეთ, მაინც სოროში დაბობღავთ, ძმებო!.. მერე შეძულდა მოლოქეს მიწა, მიწაზე დგომა, და მიწის სუნი, ამყრალებული კლდისაკენ წავიდა, მაღლა დადგომა მოუნდა, ოხერს, თავისი ჭკუით კლდეს აუყვა, და, და ვინ ბრიყვმა დასძინა ნეტავ პირველად, რომ ქვეყნად სწორედ იმდენი დაღმართია, რამდენიც აღმართი – არა, აღმართი ცოტაა, ძმებო! დაღმართი – ბევრი...

– კლდის თავზე შედგა მოლოქე იგი, მრისხანებით დაჰყურებდა მობუზულ სოფელს. უზომოდ გამძღარს, და სიამაყით გამომტყვრალს, ოხერს, დიდი თვალები გადმოეკარკლა, და ღონივრად სუნთქავდა, ნიავს მიჰქონდა მძიმე სიმყრალე, ძმებო და სოფლად ჰფენდა – არა, არარა არ იკარგება! და თქვენისთანა იანეები წილს უზიდავდნენ მხრებით, ურმებით, ვისაც რა ჰქონდა – ღრუბლებში იდგა მოლოქე იგი, თვალებში ცეცხლი უელავდა…

– დიდრონ-დიდრონი ქალაქებიც გაშენდა ქვეყნად – რომი, ბაბილონი, პომპეა და რიო დე ჟანეირო და ქალაქებში ისე ცხოვრობდა ახალი ხალხი, უკეთ ცხოვრებას რომ ეძახიან რატომღაც, ძმებო… და ქალაქების გაშენებამდე მტაცებლებმა და გაუმაძღრებმა, მოლოქეს სუნით მოწამლულებმა, კლდეზე იპოვეს მიხრწნილი კერპი. კლდეზე აფოფხდნენ, და რომ ყოველთვის მცველად ჰყოლოდათ, მიხრწნილი ლეში წამოაყენეს, სპილენძით კარგად მოჭედეს, საგულდაგულოდ აპრიალებდნენ, და აბრჭყვიალდა მოლოქე მზეზე, და ხელოვნური, ბროლის თვალებით სადღაცას კუშტად იმზირებოდა, კაცი იყო და – სპილენძად იქცა, მისი ხალხი კი დაბლობისაკენ ჩამობობღდა, მრავალ იანეს – ქალაქები აშენებინეს, მოტყუებით და მუქარით, ძმებო, ენაც დაიტკბეს და ოთხი ბრიყვი იანეთი მეხუთეს – ჭკვიანს, სიკვდილით სჯიდნენ, და თქვენგნით ძალა ემატებოდათ, და მოლოქესგან აყოლილი ბინძური სუნი რომ მიეჩქმალათ, სუნამოებს ისხამდნენ თავზე, კოხტა ეტლებით დასეირნობდნენ, გაივსეს სახლი, და ამის ღირსნი რომ ყოფილიყვნენ – იანეების დაბინდულ თვალში – სუყველამ თავ-თავისი ზღაპარი შეთხზა, და მოუკირწყლავ, ვრცელ მიწაზე დარჩენილებს შორიდან კოხტად ანუგეშებდნენ, სწორედ თქვენსავით უგუნურთ, ძმებო, და კერპი პრიალისგან რომ გაცვდა, მერე ბრინჯაოდ ჩამოასხეს – უფრო დამძიმდა... ერთ მოლოქეთა იანეები მეორეების იანეებს ებრძოდნენ ხანდახან, ძმებო, და

ქალაქებში მძლავრად იქნევდნენ მჭედლები უროს, იანეთათვის ნამგლებსა და ხმლებს სჭედდნენ, ისინიც კარგა გვარიანად იღლებოდნენ და საღამოობით – ზღაპრებს ისმენდნენ და თქვენც, ბრიყვებო, დიდი ხნის უკან დღევანდელივით წელში წყდებოდით, ხანდახან ცხენსაც აჭენებდით, ხომ? –ნამდვილად დიდი შეღავათია... მოლოქეები გითხზავდნენ ზღაპრებს, და მხარ-თეძოზე წამოწოლილებს, ანდა – გაჯგიმულებს საბრძოლო ეტლში, ახალ-ახალი მუზა იპყრობდათ… ძვირფას-ძვირფასი ლარნაკებითა და თასებით გაივსეს სახლი, ვერცხლით მოჭედეს ბედაურები, და მოლოქესაც ვერცხლის სამოსი გადააცვეს, როგორ ბზინავდა... თქვენ, წელში გამწყდართ, რაღაც-რაღაცის უფლება მაინც მოგენიჭათ, მხოლოდ იმისათვის, უგუნური თავი რომ გაგეტანათ, და რამდენიმე შვებაც, ბრიყვებო, ზეიმად მოგცეს: მცირე ქორწილი და ქორწინება, რომ არ გადაშენებულიყავით და ვრცელ ღამეებში ჩახუტებულებს, თქვენ სიყვარული გეგონათ. ძმებო, მცირეოდენი თამაშობანი – იმ სიმკვირცხლისთვის, მუშაობა რომ შეგეძლოთ, და თქვენ, ბეჩავნი, სილაღედ თვლიდით; ბედნიერადაც რომ ჩაგეთვალათ უტვინო თავი, ცეკვა-სიმღერაც არ აუკრძალავთ და თქვენი ყოფის სამადლობელი ყალბი სიმღერის შეთხზვისათვის – ო, გარეწარნო – თქვენთვის თავზეც კი გადაუსვამთ ვარდისა წყალში განბანილი ბინძური ხელი, აჰ, როგორ თრთოდით, იანეს სული გიკაწკაწებდათ... და, უგუნურნო, ბუნიობისას მთვარის მოქცევას, ანდა ახალ წელს როცა ზეიმობთ, არავინ იცით, თქვენთვის მუდამ რომ ძველი წელია და უფრო მეტიც – ის დაწყევლილი იანეს ბინდი, იგივ საღამო...

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. რა საშუალებას იყენებს ავტორი ამ მონაკვეთებში სათქმელის გადმოსაცემად?

ა) დიალოგს.

ბ) მონოლოგს.

გ) პერიფრაზს.

დ) ციტატას.

(1) 3. ვინ იყო მოლოქე?

ა) უფლის მსახური, რომელიც ადამიანებმა გააღმერთეს.

ბ) უცხოელი დამპყრობელი, რომელსაც ადამიანები დაემონნენ.

გ) წარმართული ღვთაება, რომელიც ადამიანებმა დაამხეს.

დ) ჩვეულებრივი კაცი, რომელიც ადამიანებმა კერპად აქციეს.

(1) 4. რას გულისხმობს პერსონაჟი, როცა ამბობს: *„არა, აღმართი ცოტაა, ძმებო! დაღმართი – ბევრი...“?*

ა) ცოტას შეუძლია, რომ ციცაბო კლდის მწვერვალზე ავიდეს.

ბ) ცოტას შეუძლია, რომ ცხოვრების გზა ღირსეულად გაიაროს.

გ) ბევრს არ შეუძლია, რომ თანამოძმეებს გვერდით დაუდგეს.

დ) ბევრს არ შეუძლია, რომ ოჯახი მატერიალურად უზრუნველყოს.

(1) 5. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ იანეს შინაგან სამყაროში რაღაც შეიცვალა?

ა) „იმის მეზობელს კი იანე ერქვა – ერთი თქვენსავით ჩვეულებრივი კაცი იყო...“
ბ) „ქანცგაწყვეტილ იანეს თავის ქოხამდე რომ მიეღწია, ვახშამი დაწნულ კალათში ედო...“
გ) „ცხვრის ტყავებისკენ ეზიდებოდა ნამუშევარი, დგომით დაღლილი წვრილი ფეხები...“
დ) „მცირე კალათი აღარ ახსოვდა, ისე ეჭირა, იდგა და იჩუტებოდა საბრალო, ბრიყვი...“

(1) **6. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** *„ჯერაც არ გაჩენილა ამქვეყნად ისეთი ბზარი, სადმე სხვაგან რაიმე რომ არ გაემაგრებინოს“?*

ა) უმადური ადამიანი კეთილშობილ კაცსაც კი ბოროტებაზე დააფიქრებს.
ბ) ურწმუნო ადამიანი მორწმუნის გადაბირებასაც კი იოლად მოახერხებს.
გ) ლაჩარი ადამიანი თავისი სისუსტით მოწინააღმდეგეს აძლიერებს.
დ) მორჩილი ადამიანი თავისი მოთმინებით სასოწარკვეთილს ამხნევებს.

(1) **7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მეტაფორა?**

ა) „მოლოქეს ახლა სხვა ძალაც ეგულებოდა – ბეჩავ იანეს თვალებიდან რომ ამოუწოვა...“
ბ) „და კერპი პრიალისგან რომ გაცვდა, მერე ბრინჯაოდ ჩამოასხეს – უფრო დამძიმდა...“
გ) „ღვინო იყო თუ დამდგარი წყალი, პური იყო თუ გამომშრალი ძნა, სუყველაფრიდან თავის წილს ითხოვდა!“
დ) „და ქალაქებში ისე ცხოვრობდა ახალი ხალხი, უკეთ ცხოვრებას რომ ეძახიან რატომღაც, ძმებო...“

(1) **8. რაზე მიანიშნებს მკითხველს ფრაზა:** *„ქალაქებში მძლავრად იქნევდნენ მჭედლები ურoს, იანეთათვის ნამგლებსა და ხმლებს სჭედდნენ“?*

ა) იანეებს მოლოქეთა კეთილდღეობისთვის უნდა ეშრომათ და ებრძოლათ.
ბ) იანეებს შრომითა და ბრძოლით თავისუფლება უნდა მოეპოვებინათ.
გ) იანეებს შრომითა და ბრძოლით სიმდიდრე უნდა მოეხვეჭათ.
დ) იანეებს მოლოქეთა გასანადგურებლად უნდა ეშრომათ და ებრძოლათ.

(1) **9. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული:** *„თქვენთვის თავზეც კი გადაუსვამთ ვარდისა წყალში განბანილი ბინძური ხელი“?*

ა) ალუზია.
ბ) შედარება.
გ) გაპიროვნება.
დ) გროტესკი.

(1) **10. ვისი განზოგადებული სახეა იანე?**

ა) მამაცი და მებრძოლი ერის.
ბ) მშრომელი და შემოქმედი ხალხის.
გ) ბრიყვი და მშიშარა ადამიანების.

დ) ფრთხილი და გონიერი საზოგადოების.

(1) 11. რა მნიშვნელობით იყენებს ავტორი სიტყვებს: *„მოლოქეები გითხზავდნენ ზღაპრებს“?*

ა) გამხნევებდნენ.
ბ) გართობდნენ.
გ) გარიგებდნენ.
დ) გატყუებდნენ.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მოძალადის აღზევებას თავად საზოგადოება უწყობს ხელს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

10.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი იოვანე საბანისძის თხზულებიდან „აბო თბილელის წამება“:

და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა ხსნილად. მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა. და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. და ესრეით სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა.

მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაი დაუტევა და შეიყუარა ქრისტეი ყოვლითა გულითა. არამედ ვერ განაცხადებდა თავსა თვისსა სრულად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეის მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტეისი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.

და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი. და უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაი, რომელსა დარიალან ერქუმის. და

რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაი ქრისტეისი ჰაბო. და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაისა, შეიწყნარა იგი უცხოებისათვის და სივლტოლისათვის მტერთა მისთაისა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ, ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთაისა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტეისა და ნათელ-იღო.

შემდგომად რავდენისამე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოისასა, რაითა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედაი, და ცოლი, და შვილნი, და მონაგები, და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაი იგი შიშისაგან სარკინოზთაისა. ხოლო ღმერთმან მოამშვიდა პირი მეფისა მის ჩრდილოისაი და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაითა. ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მას ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაი თვისი, და ცოლი და ძენი თვისნი, სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშვიდობით შეკრებისა მათისათვის.

მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოისთვის, რამეთუ ახალ ნათელღებულ არს, განიხარა ფრიად. და ნეტარი ჰაბო უფროისღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაი იგი სავსეი ქრისტეის სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსეისისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაითა სტეფანოზ, ძეი გურგენ ერისთვისაი, დისწული ნერსეისი, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსეი, რამეთუ უფლებაი იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან და ითხოვა ხელმწიფეთაგან, ამირათა ამის ქუეყანისათა, რაითა უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ხსნილად ყოვლით ერით მისითურთ.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა:

– ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაი იგი ქართლისაი სარკინოზთა უპყრიეს. და მეშინის მე შენთვის, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტეისისა.

ხოლო ნეტარმან ჰაბო ჰრქუა:

– დაღათუ ბევრეული ოქროისა და ვერცხლისაი მომცენ მე, გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთის მსახურო, რამეთუ მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“. და აწ მე რაისათვის დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან?

და გამოვიდა იგი ნერსეის თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვათა შეაჯერებდეს. ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტეის მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა. არამედ სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოის ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 2. მოცემული ტექსტის მიხედვით, სად არიან გაბატონებული არაბები?

ა) აფხაზეთში.
ბ) ოსეთში.
გ) ხაზარეთში.
დ) ქართლში.

(1) 3. რა გააკეთა აბომ თავდაპირველად იმისათვის, რომ ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ უფრო მეტი გაეგო?

ა) თბილისში ქართველ ქრისტიანებს დაუმეგობრდა.
ბ) ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს გაეცნო.
გ) ქართულად საუბარი და წერა-კითხვა ისწავლა.
დ) ქრისტიანების ოჯახში ცხოვრება დაიწყო.

(1) 4. რას ნიშნავს სიტყვები: *„უდებ-ყო შჯული“*?

ა) აღიარა სარწმუნოება.
ბ) გაეცნო სარწმუნოებას.
გ) იქადაგა სარწმუნოება.
დ) უარყო სარწმუნოება.

(1) 5. რა გახდა ნერსე ერისთავის თბილისიდან წასვლის მიზეზი?

ა) არაბთა ამირამ ბაღდადში დაიბარა.
ბ) სარკინოზთა ხელისუფალნი გაუნაწყენდნენ.
გ) ოჯახი აფხაზეთში ჰყავდა გასახიზნი.
დ) ხაზარებმა ბრძოლაში დახმარება სთხოვეს.

(1) 6. სად მოინათლა აბო ქრისტიანად და რატომ?

ა) აფხაზეთში, რადგან იქ მხოლოდ ქრისტიანები ცხოვრობდნენ.
ბ) ხაზარეთში, რადგან იქ სარკინოზთა საფრთხისაგან დაცული იყო.
გ) ბაღდადში, რადგან მაჰმადიანს ნერსე თბილისში არ წამოიყვანდა.
დ) თბილისში, რადგან რჯულის მეცნიერები ისე არ დაიმოწაფებდნენ.

(1) 7. რომელ ფრაზაშია გამოყენებული სიტყვა *საჩუქარი?*

ა) „ბევრეული ოქროისა და ვერცხლისაი მომცენ მე...“
ბ) „სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი...“
გ) „...ქუეყანაი იგი სავსეი ქრისტეის სარწმუნოებითა“.
დ) „...და განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა“.

(1) **8. განსაკუთრებით რამ გაახარა აფხაზეთში მყოფი ნერსე ერისთავი?**

ა) აბომ ქრისტიანული სარწმუნოება გაცხადებულად რომ აღიარა.
ბ) აფხაზთა მეფემ მისი ამალა პატივით რომ მიიღო.
გ) მისი ოჯახი მშვიდობით რომ ჩამოვიდა ხაზარეთიდან.
დ) უფალმა მის სანათესაოს ერისმთავრობა რომ არ ჩამოართვა.

(1) **9. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში:** *„არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხვიმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაითა ჰნათობდეს ყოველთა“?*

ა) გროტესკი.
ბ) ალეგორია.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) **10. როგორ იქცეოდა თბილისში დაბრუნებული აბო?**

ა) კეთილისმყოფელთა რჩევებს ყურს უგდებდა.
ბ) ფარულად ლოცულობდა და მარხულობდა.
გ) შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს თავს არიდებდა.
დ) დაუფარავად აცხადებდა, რომ ქრისტიანი იყო.

(1) **11. რომელ მონაკვეთში იყენებს ავტორი მხატვრულ ხერხს, რათა მკითხველზე ემოციური ზემოქმედება მოახდინოს?**

ა) „და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა...“
ბ) „წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაითა სტეფანოზ, ძეი გურგენ ერისთვისაი, დისწული ნერსეისი, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა“.
გ) „და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაი ქრისტეისი ჰაბო“.
დ) „რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვათა შეაჯერებდეს“.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. საკუთარი პრინციპების ერთგულება ადამიანს შიშის დაძლევაში ეხმარება.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

11.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან „ჯაყოს ხიზნები“:

თეიმურაზ ხევისთავი სოფლიდან დაბრუნებას ძალიან მოიჩქაროდა: ტფილისში მოუთმენლად ელოდებოდნენ მჭლე გაზეთი, კოტრი კოოპერატივი, ძილმორეული კულტურული საზოგადოება, სახალხო სახლი, უფასო კურსები და ათასი უთავბოლო ჩხირკედელობა, ფუსფუსი, ჩურჩული, ლაყბობა და ენის მოსაფხანი ამბავი.

ხევისთავი რწმენით უუკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი იყო. თუმცა მუდმივსა და აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას არ მისდევდა, მაგრამ მაინც ერთ ჯგუფში თანაგრძნობის ცხვირი ჰქონდა ჩაყოფილი და ზოგჯერ სახიფათო საქმეშიც ოდნავ თითსაც ურევდა, კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა, ხოლო საქმის ცოდნა – ღრმა და ფესვიანი, ამიტომ როცა საჭიროება მოითხოვდა, შესაფერ მოხსენების ან მემორანდუმის შედგენას მას მიანდობდნენ ხოლმე.

თეიმურაზს მთელი ტფილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე იყო. თუმცა ლაპარაკში ოდნავ ენას უკიდებდა, მაგრამ ბორძიკი არაფერს არ ჰვნებდა, ზოგის თქმით კი – უხდებოდა კიდევაც.

სამი კაცი იშვიათად მოიყრიდა თავს, რომ მეოთხედ თეიმურაზი არ ჩარეულიყო, შუაში არ ჩამდგარიყო, სათვალეები არ შეესწორებინა, თითი მაღლა არ აეწივნა და მაშინვე ბაასის სადავე ხელთ არ ეგდო.

– მ... მმოითმინეთ, მ... მოვისაზროთ. ჯერ კამათის საგანი გამ... მმოვარკვიოთ.

და რაზედაც უნდა ყოფილიყო ბაასი, – შესახებ სუდანის ირიგაციისა, ინგლისის პოლიტიკისა ეშმაკის კუნძულზე, გერმანელების დამკვიდრებისა აფრიკაში, პორტ-ჯიბუტის გარშემო ატეხილი დავისა, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალებისა, თუნდ ჩარტისტული მოძრაობისა, თუნდ ახალზელანდელ ქალების საარჩევნო უფლებისა, ან ახალ მნათობის აღმოჩენისა, ან რომელიმე მეცნიერულ გამოკვლევისა, კომბის ან ლოიდ-ჯორჯის გეზისა, ან რომელიმე ქვეყნის რომელიმე მოღვაწის რომელიმე ახსნა-განმარტებისა, – თეიმურაზი მუდამ უდავო მსაჯული და მცოდნე იყო ყველასი და ყველაფრისა.

თუ ვინმე გაჰბედავდა და თეიმურაზს კამათს აუტეხავდა, ქაღალდის ჩრჩილი მოპირდაპირეს უმალ ავტორებისა და ციტატების სეტყვით გააბრუებდა.

სადაც მცირედი დავა და კამათი ასტყდებოდა შესახებ რომელიმე ამბავის სისწორისა და მცნების განმარტებისა, იმის მაგივრად, რომ მოდავეებს ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაეხედნათ, დავის გადასაჭრელად თეიმურაზთან მირბოდნენ. თეიმურაზიც ცნობას და განმარტებას ხალისით აძლევდა. თან ორ-სიტყვიან ცნობას რთულ ლექციად გადააქცევდა. ერთ ნათქვამს მოიმიზეზებდა, უბრალოს გაართულებდა, გაჰყვებოდა, გასჭიმავდა და მსმენელს ისე გაჰგუდავდა, რომ ერთმანეთს ძლივს-ღა დაშორდებოდნენ ხოლმე. ამის გამო ვიღაცამ თეიმურაზს ცოცხალი ენციკლოპედია დაარქვა. მას აქეთ თეიმურაზს ეს ზედმეტი სახელი სამუდამოდ შერჩა და ისიც ამ სახელს ამაყად და თავმომწონედ ატარებდა.

თეიმურაზის კარებს ვექილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზადაბნეული გაბრიყვდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. ხან არზას დროზე არ დასწერდა, ხან გასაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ, სასამართლოში მიმავალი, ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა...

უკანასკნელ ხანებში თეიმურაზი ქართული კულტურის სამტომიან ისტორიას ადგენდა და შიგა-და-შიგ ათობით სწერდა საგაზეთო წერილებს, მოხსენებებს, დასკვნებს, გამოკვლევებსა და შენიშვნებს, თან საიდუმლო კრებებზეც დადიოდა და სხვებთან ერთად დღითი დღე სჭამდა და ჰღრღნიდა იმ ტოტს, რომელზედაც არხეინად ეძინა და უდარდელად ფუსფუსებდა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა– **X.**

(1) 2. რას ნიშნავს *„მჭლე გაზეთი“?*

ა) უინტერესო გაზეთს.
ბ) არალეგალურ გაზეთს.
გ) საინტერესო გაზეთს.
დ) პოპულარულ გაზეთს.

(1) 3. რის თქმა სურს ავტორს ფრაზით: *„ზოგჯერ სახიფათო საქმეშიც ოდნავ თითსაც ურევდა“?*

ა) სახიფათო საქმეს ეძებდა და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.
ბ) სახიფათო საქმეში მონაწილეობას იღებდა, თუმცა სიფრთხილეს იჩენდა.
გ) სახიფათო საქმეს ერიდებოდა და ახლოსაც არ გაეკარებოდა.
დ) სახიფათო საქმემ ბევრჯერ დააზარალა, თუმცა ჭკუა ვერ ისწავლა.

(1) 4. თეიმურაზ ხევისთავის რომელ თვისებას გამოხატავს ფრაზა: *„კალამი მსუბუქი და ხალისიანი ჰქონდა“?*

ა) უინტერესოდ და ზერელედ წერდა.
ბ) მიმზიდველად და ლაღად წერდა.
გ) იუმორისტულ ნაწარმოებებს წერდა.
დ) პოპულარულ თემებზე წერდა.

(1) 5. თეიმურაზ ხევისთავის რომელ თვისებას გამოხატავს სიტყვა *„ენამჭევრი“?*

ა) ზედაპირულად და უარგუმენტოდ მსჯელობდა.
ბ) ყველაზე აქტუალურ საკითხებს განიხილავდა.
გ) საინტერესოდ და დასაბუთებულად მსჯელობდა.
დ) საუბარში უცხო სიტყვებს უადგილოდ იყენებდა.

(1) 6. თეიმურაზ ხევისთავის მიმართ ავტორის რა დამოკიდებულება ჩანს სიტყვებში: *„ქაღალდის ჩრჩილი“?*

ა) გულგრილობა.
ბ) ირონია.
გ) აღშფოთება.
დ) აღტაცება.

(1) 7. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: *„უმალ ავტორებისა და ციტატების სეტყვით გააბრუებდა“?*

ა) მეტაფორა.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ეპითეტი.

(1) 8. რატომ უწოდებდნენ თეიმურაზ ხევისთავს *„ცოცხალ ენციკლოპედიას“?*

ა) რბილი და შემწყნარებლური ხასიათის გამო.
ბ) ფართო და საფუძვლიანი განათლების გამო.
გ) რადიკალური და ხალხოსნური სულისკვეთების გამო.
დ) მიმზიდველი, თუმცა გაჭიანურებული მსჯელობის გამო.

(1) 9. რას ნიშნავს *„მსმენელს... გაჰგუდავდა“?*

ა) არგუმენტირებული მსჯელობით მსმენელს მიიმხრობდა.
ბ) ბევრი ლაპარაკით მსმენელს ქანცს გამოაცლიდა.
გ) უსაგნო ლაპარაკით მსმენელს მალევე კარგავდა.
დ) საინტერესო საუბრით მსმენელს მსჯელობაში ჩაითრევდა.

(1) 10. რატომ ნანობდა კლიენტი თეიმურაზისათვის საქმის ჩაბარებას?

ა) თეიმურაზმა დოკუმენტების შედგენა არ იცოდა.
ბ) თეიმურაზს მეტისმეტად ბევრი კლიენტი ჰყავდა.
გ) თეიმურაზი საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა.
დ) თეიმურაზი საოჯახო საქმეებით იყო გადატვირთული.

(1) 11. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „თეიმურაზი მუდამ უდავო მსაჯული და მცოდნე იყო ყველასი და ყველაფრისა“.
ბ) „დღითი დღე სჭამდა და ჰღრღნიდა იმ ტოტს, რომელზედაც არხეინად ეძინა“.
გ) „სამი კაცი იშვიათად მოიყრიდა თავს, რომ მეოთხედ თეიმურაზი არ ჩარეულიყო“.
დ) „საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა“.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. აქვს თუ არა ფასი ცოდნას, თუ მას ცხოვრებაში ვერ გამოვიყენებთ.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

12.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“: *ყაჩაღ რაჟა სარჩიმელიას დათა თუთაშხიასთან შეხვედრა სურდა. დათამ მას უსინათლო მორდეხის ქოხში დაუთქვა შეხვედრა.*

თუთაშხია რომ შემოვიდა, სარჩიმელიას ეძინა. მორდეხმა ბუხარში ცეცხლი ააგიზგიზა, შეშამ ტკაცა-ტკუცი დაიწყო. ყაჩაღმა წამოიწია, თვალები მოისრისა და თქვა:

– გამარჯობა, დათა-ბატონო, მარა წასვლას ვაპირებდი, დღეს რომ არ მოსულიყავი კიდევ.

თუთაშხიამ თავი დააქიცინა. ყაჩაღი ვერ მიხვდა, სალმის პასუხი იყო ეს დაქიცინება, თუ კიდევ სხვას ნიშნავდა რასმე.

– პირველს იმას გეტყვი, დათა-ბატონო, რომ მაშინ, იქ, გზიდან გადაყვანილი ხალხის საქმეში, მართალი არ იყავი შენ, მარა გულში არაფერი არ ჩამიდვია მე. არც ის არის მართალი, რომ ლაპარაკობენ ჩემზე, ბეჩუნი პერტიასთან საქმე დაიჭირაო. მოგონილია მაგ ყველაფერი.

სარჩიმელია დათას პასუხს დაელოდა, მაგრამ აბრაგი ჩუმად იჯდა, ალით განათებულ სახეში შესცქეროდა თანამოსაუბრეს. თუთაშხიას სიჩუმე სარჩიმელიამ, ჯერ იყო, თავისი მტკიცე ტონის შთამაგონებლობას მიაწერა, მაგრამ აბრაგის იერში სიმშვიდისა და დაღლილობის მეტი ვეღარაფერი შენიშნა და უფრო ექსპანსიურად განაგრძო:

– დათა-ბატონო, სახლ-კარი გადაგიწვეს ნაკაშიებმა, თუ გიპოვნეს, მოგკლან იქნება, კიდევაც. ფული მქონდა სოხუმში მიბარებული ერთ ქალთან. წაიღეს ნაკაშიებმა ის. შენ რომ სახლ-კარი გქონდა, ასს და მეტს ააშენებს ის ფული, იმდენია იქ!

ვერც ამან მოახდინა ეფექტი. აბრაგი დუმდა, მის სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეძრულა. იჯდა, სარჩიმელიას შეჰყურებდა.

ყაჩაღმა წონასწორობა საბოლოოდ დაკარგა:

– დათა-ბატონო, შენს მეტს არაკაცს არ დაუჯერებენ ნაკაშიები. ამაღებინე ის ჩემი ფული და ნახევარი შენი იქნება მაშინ.

თუთაშხიას მხოლოდ ახლა დაეტყო ღიმილის მაგვარი რაღაც. ან იქნებ მხოლოდ ნაპერწკალმა გაურბინა თვალებში.

სარჩიმელიამ იგრძნო, რომ მისი რიხიანი ლაპარაკი დიდი ხანია ხვეწნად იქცა, თუთაშხია ნაკაშიებთან არ წაჰყვებოდა, მაგრამ ერთი სიტყვის გაგონება მაინც ღირსებოდა!

დათა თუთაშხიამ ხმა ამოიღო: – წადი ახლა შენს გზაზე, რაჟა, ბიძიკო.

მორდეხმა მაგიდაზე ხელები მოაფათურა, ლულებიდან ამოღებული ვაზნები ყაჩაღს გაუწოდა. სარჩიმელიამ გამოართვა, ცოტა ხანს კიდევ იჯდა, რაღაცას ფიქრობდა. მერე იარაღი აისხა, ქოხიდან გავიდა...

– ყველა კაცი თავის საქმეს მისდევს. ჭკუა ბევრისთვის მიუცია ღმერთს, გაგება – ცოტასთვის. გაგება როგორიც აქვს ადამიანს – ისეთ საქმეს მიყვება და არის... – თქვა მორდეხმა.

დათა თუთაშხიამ ხელები შეიწმინდა, ცეცხლს ჩააცქერდა და თქვა:

– მორდეხ-ბატონო, შენით ცხოვრებას რომ იწყებდი, რანაირი იყო მაშინ შენი გაგება?

– საშოვარი და შოვნა.

– მერე?

– მივხვდი მერე, არაფერი რომ არ იყო ესეც, მარა სხვაც რომ ვერ ვნახე უკეთესი საქნელი, მივყევი ბოლომდე, ვინახე ნაშოვარი და ვარ ასე – აგერ, ასის შევიქნები მალე.

ბუხრიდან ნედლი კუნძის შიშინი ისმოდა.

– კაი ვჭამე, კაი ვსვი, კაი ჩავიცვი და დავიხურე, ვითომ, მარა მეორე დღეს აღარ მახსოვდა ეს. ფუჭად წავიდა ყველაფერი, – მორდეხი დაფიქრდა და დასძინა:

– რაღა მახსოვს იქიდან ახლა თუ იცი?.. მარტვილის ბაზარში ბიჭს თხა ყავდა გამოყვანილი. ისე დაძენძილ-დაფლეთილი ტანისამოსი სხვა დროს არ მინახავს არსად, იმ ბიჭს რომ ეცვა. ქვრივი დედაბერი ევაჭრებოდა ვიღაც – სახადმა ოჯახი ამომიწყვიტა, შვილიშვილი დამრჩა ძუძუს ბავშვი, მისთვის მინდა ეგ თხა, დედაშვილობას გაფიცებ, სამ აბაზად მომეციო. მესამედი ფასი იყო იმ თხის ის სამი აბაზი. არაფრის გულისთვის არ თმობდა ბიჭი. მე იქ იმისთვის ვიყავი, რომ იაფად ნაყიდ ჩოხას ვყიდდი ერთს. ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული

მახსოვს, თვალებში მაქვს ახლაც და კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა.

თუთაშხიამ თვალი უსინათლო მორდეხზე გადაიტანა, გაიღიმა, არაყი დაისხა.

– ვცადე მაგ მე. ბევრჯერ ვცადე მაგ მე. იცი შენ ეს.

– რაი, მერე?

– ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა, სწორედ. მე თუ არა, სხვას გახადა მაინც.

– რომ არ ჩაგეცვა მისთვის, გახდა თუ აგცდებოდათ ან შენ და ან იმ სხვას?

სიჩუმე ჩამოდგა მერე თუთაშხიამ მიუგო:

– არ მიფიქრია მაგაზე, – და არაყი გადაჰკრა.

ვახშამს მორჩნენ. თუთაშხია ჩიბუხს აბოლებდა.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა– **X.**

(1) 2. რა მიზნით უნდოდა რაჟა სარჩიმელიას დათასთან შეხვედრა?

ა) დათასთვის მოსალოდნელი საფრთხე რომ აეცილებინა.
ბ) დათასთვის ძველი წყენის გამო პასუხი რომ მოეთხოვა.
გ) დათა თუთაშხიასთვის დახმარება რომ ეთხოვა.
დ) დათასთვის თავისი ერთგულება რომ დაემტკიცებინა.

(1) 3. როგორ ცდილობდა საუბრის დასაწყისში რაჟა სარჩიმელია თუთაშხიაზე შთაბეჭდილების მოხდენას?

ა) მეგობრული, გულღია ხუმრობით.
ბ) შთამაგონებელი, რიხიანი ლაპარაკით.
გ) თავის შეცოდებითა და ხვეწნა-მუდარით.
დ) მშვიდი, აუღელვებელი საუბრით.

(1) 4. მოსაუბრისადმი როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს თუთაშხიას სიტყვები: *„წადი ახლა შენს გზაზე, რაჟა, ბიძიკო“?*

ა) ირონიულს.
ბ) დაეჭვებულს.
გ) კეთილგანწყობილს.
დ) შემწყნარებლურს.

(1) 5. რის თქმა სურს მორდეხს სიტყვებით: *„ჭკუა ბევრისთვის მიუცია ღმერთს, გაგება – ცოტასთვის“?*

ა) ჭკვიანი ადამიანი არ შეიძლება კეთილშობილი არ იყოს.

ბ) ადამიანები ღვთის რწმენით ცხოვრებას უნდა ცდილობდნენ.
გ) ბევრ ჭკვიან ადამიანს სიკეთე ბოროტებისაგან ვერ გაურჩევია.
დ) სხვისი გასაჭირის გულთან მიტანა ცოტას თუ შეუძლია.

(1) 6. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მხატვრული ხერხი?

ა) „ან იქნებ მხოლოდ ნაპერწკალმა გაურბინა თვალებში“.
ბ) „დათა თუთაშხიამ ხელები შეიწმინდა, ცეცხლს ჩააცქერდა“.
გ) „ალით განათებულ სახეში შესცქეროდა თანამოსაუბრეს“.
დ) „მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს“.

(1) 7. რომელ წინადადებაშია გამოყენებული ფრაზეოლოგიზმი?

ა) „მართალი არ იყავი შენ, მარა გულში არაფერი არ ჩამიდვია მე“.
ბ) „აბრაგის იერში სიმშვიდისა და დაღლილობის მეტი ვეღარაფერი შენიშნა“.
გ) „სარჩიმელიამ იგრძნო, რომ მისი რიხიანი ლაპარაკი დიდი ხანია ხვეწნად იქცა“.
დ) „აბრაგი დუმდა, მის სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეძრულა“.

(1) 8. რატომ არ დაეხმარა დათა თუთაშხია რაჟა სარჩიმელიას?

ა) რასაც რაჟა სარჩიმელია სთავაზობდა, მისთვის მიუღებელი იყო.
ბ) რაჟა სარჩიმელიას ასეთ რთულ საქმეში ვერ ენდობოდა.
გ) აღარ უნდოდა ვინმეს გულისათვის თავი საფრთხეში ჩაეგდო.
დ) მუდმივმა დევნამ და განსაცდელში ყოფნამ ძალიან დაღალა.

(1) 9. როდესაც სარჩიმელიამ თავისი სათქმელი ბოლომდე თქვა, თუთაშხიას სახეზე *„ღიმილის მაგვარი“* რაღაც დაეტყო. რაზე მიანიშნებდა ეს?

ა) მოეწონა სარჩიმელიას მიერ შემოთავაზებული წინადადება.
ბ) გაახსენდა სარჩიმელიასთან ერთად მოგვარებული საქმეები.
გ) ერთი წუთით წარმოიდგინა, რომ სარჩიმელიას დაეხმარებოდა.
დ) მიხვდა სარჩიმელიას მოსვლის ნამდვილ მიზეზს.

(1) 10. რატომ არ აძლევდა ბიჭი ქვრივ ქალს თხას სამ აბაზად?

ა) ვაჭრობაში გაწაფულს უნდოდა მეტი ფული ეშოვა.
ბ) ჩოხის საყიდლად სამი აბაზი საკმარისი არ იქნებოდა.
გ) თხის საფასური სამ აბაზზე ბევრად მეტი იყო.
დ) არ უნდოდა დედაბრისაგან მოტყუებული ყოფილიყო.

(1) 11. რომელ ამონარიდში ჩანს, რომ კეთილი საქმე სხვასაც სიკეთისკენ უბიძგებს?

ა) „დათა-ბატონო, შენს მეტს არაკაცს არ დაუჯერებენ ნაკაშიები. ამაღებინე ის ჩემი ფული და ნახევარი შენი იქნება მაშინ“.

ბ) „კიდევ ის მახსოვს, ჩოხა რომ ვაჩუქე, მიცა ბიჭმა დედაბერს თხა სამ აბაზად. მომბაძა მე და მიცა“.

გ) „ვაჩუქე იმ ბიჭს ის ჩოხა. მისი დაუჯერებლობა, გაკვირვება და სიხარული მახსოვს, თვალებში მაქვს ახლაც“.

დ) „ჭკუა ბევრისთვის მიუცია ღმერთს, გაგება – ცოტასთვის. გაგება როგორიც აქვს ადამიანს – ისეთ საქმეს მიყვება და არის“.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. უნდა გაითვალისწინო თუ არა მოსალოდნელი შედეგი, როდესაც სხვის დახმარებას გადაწყვეტ.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

1.

2. ---------- გ)
3. ---------- ა)
4. ---------- ა)
5. ---------- ბ)
6. ---------- ა)
7. ---------- ა)
8. ---------- გ)
9. ---------- გ)

10. ---------- გ)
11. ---------- დ)

2.

2. ---------- გ)
3. ---------- გ)
4. ---------- ბ)
5. ---------- ა)
6. ---------- გ)
7. ---------- გ)
8. ---------- ა)
9. ---------- გ)
10. ---------- ბ)
11. ---------- ბ)

3.

2. ---------- ბ)
3. ---------- დ)
4. ---------- ბ)
5. ---------- დ)
6. ---------- გ)
7. ---------- ა)
8. ---------- ა)
9. ---------- დ)
10. ---------- გ)
11. ---------- დ)

4.

2. ---------- დ)
3. ---------- გ)
4. ---------- დ)
5. ---------- ბ)
6. ---------- ბ)
7. ---------- დ)
8. ---------- დ)
9. ---------- ბ)
10. ---------- დ)
11. ---------- დ)

5.

2. ---------- ა)
3. ---------- ბ)
4. ---------- ბ)

5. ---------- გ)
6. ---------- ბ)
7. ---------- ა)
8. ---------- ბ)
9. ---------- ბ)
10. ---------- გ)
11. ---------- ბ)

6.

2. ---------- გ)
3. ---------- ბ)
4. ---------- ა)
5. ---------- გ)
6. ---------- ა)
7. ---------- ა)
8. ---------- ა)
9. ---------- დ)
10. ---------- გ)
11. ---------- ბ)

7.

2. ---------- გ)
3. ---------- ა)
4. ---------- ა)
5. ---------- ბ)
6. ---------- ა)
7. ---------- ა)
8. ---------- გ)
9. ---------- გ)
10. ---------- გ)
11. ---------- დ)

8.

2. ---------- გ)
3. ---------- გ)
4. ---------- ბ)
5. ---------- ა)
6. ---------- გ)
7. ---------- გ)
8. ---------- ა)
9. ---------- გ)
10. ---------- ბ)

11. ---------- ბ)

9.

2. ---------- ბ)
3. ---------- დ)
4. ---------- ბ)
5. ---------- დ)
6. ---------- გ)
7. ---------- ა)
8. ---------- ა)
9. ---------- დ)
10. ---------- გ)
11. ---------- დ)

10.

2. ---------- დ)
3. ---------- გ)
4. ---------- დ)
5. ---------- ბ)
6. ---------- ბ)
7. ---------- დ)
8. ---------- დ)
9. ---------- ბ)
10. ---------- დ)
11. ---------- დ)

11.

2. ---------- ა)
3. ---------- ბ)
4. ---------- ბ)
5. ---------- გ)
6. ---------- ბ)
7. ---------- ა)
8. ---------- ბ)
9. ---------- ბ)
10. ---------- გ)
11. ---------- ბ)

12.

2. ---------- გ)
3. ---------- ბ)
4. ---------- ა)
5. ---------- გ)
6. ---------- ა)
7. ---------- ა)
8. ---------- ა)
9. ---------- დ)
10. ---------- გ)
11. ---------- ბ)

წერითი დავალება

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **34.**

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 150 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება.

I კრიტერიუმი

№	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**2**
2.	დავალების პირობა **ნაწილობრივ *არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
3.	დავალების პირობა **არაადეკვატურადაა** გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორ-დება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ლოგიკურად გამართული და თანამიმდევრულია; ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
2.	ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას. ლოგიკურად გამართული და თანამიმდევრულია, მაგრამ აბზაცები ზოგიერთ შემთხვევაში ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	**1**
3.	ნაშრომის სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მხატვრული ტექსტის ანალიზი*	*ქულები*
1.	მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულადაა*** გააზრებული და ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი.	6
2.	მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულადაა*** გააზრებული, მაგრამ ***მკაფიოდ არ არის*** გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი ან ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ***სიღრმისეულად არ არის*** გააზრებული; ანდა მხატვრული ნაწარმოები ***კარგად*** არის გააზრებული, ასევე ***კარგად*** არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი.	5
3.	მხატვრული ნაწარმოები ***კარგად*** არის გააზრებული, მაგრამ დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხის ანალიზს ***დამაჯერებლობა აკლია***; ანდა ***კარგად*** არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების მიხედვით მოხმობილი ***არგუმენტები არასაკმარისია***.	4
4.	მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია, ასევე ზოგადია დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხის ანალიზი და/ან ტექსტი ***ერთ შემთხვევაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	3
5.	მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია და არ არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი საკითხი და/ან ტექსტი ***ორ შემთხვევაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	2
6.	მხატვრული ნაწარმოების ანალიზი ზერელე და არადამაჯერებელია ან ტექსტი ***ნაწილობრივ არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
7.	მხატვრული ნაწარმოები გაანალიზებული ***არ არის*** ან მსჯელობა მხოლოდ ორი-სამი წინადადებით არის წარმოდგენილი.	0

IV კრიტერიუმი

№	*საკითხის აქტუალობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	საკითხის აქტუალობის შესახებ მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ***არგუმენტაცია არასაკმარისია***.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებს ***დამაჯე-რებლობა აკლია.***	3
4.	მსჯელობა ***ზოგადია*** და არგუმენტები ***არადამაჯერებელია***.	2
5.	მსჯელობა ***ზერელეა,*** არგუმენტები და/ან მაგალითები ***არაადეკვატურია***.	1

6.	საკითხის აქტუალობის შესახებ ***არ არის*** მსჯელობა ან მსჯელობა მხოლოდ ორი-სამი წინადადებით არის წარმოდგენილი.	0

V კრიტერიუმი

№	*ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია.	1
4.	აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემა-ტიკაში.	0

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა.	2
3.	ნაშრომში ***ძირითადად*** არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნე-ბის უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	0

VII კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ადეკვატურადაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია.	0

IX კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	5
2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	4
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	3
4.	არ არის დაშვებული რვაზე მეტი შეცდომა.	2
5.	არ არის დაშვებული ათზე მეტი შეცდომა.	1
6.	დაშვებულია ათზე მეტი შეცდომა.	0

X კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ცხრაზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული თორმეტზე მეტი შეცდომა	1
5.	დაშვებულია თორმეტზე მეტი შეცდომა.	0

გ) წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

წაკითხულის გააზრების დავალებების შესრულებისას აბიტურიენტმა ჯერ ყურადღებით უნდა წაიკითხოს მოცემული ტექსტი, რათა გაიაზროს მისი მთავარი სათქმელი და ავტორის მიზანდასახულობა; ამის შემდეგ გაეცნოს შეკითხვებსა და ასარჩევ პასუხებს, დაუბრუნდეს ტექსტს და თავიდან, დაკვირვებით გაიაზროს ის კონკრეტული მონაკვეთი, რომელსაც ესა თუ ის შეკითხვა ეხება. ასარჩევი ოთხი პასუხიდან შესაძლოა ოთხივე პირდაპირ ტექსტიდან იყოს ამოღებული, მაგრამ მხოლოდ ერთი მათგანი არის კონკრეტული შეკითხვის პასუხი და, ამდენად, სწორი პასუხის მიგნება ტექსტის სიღრმისეულ გაგებასა და დაკვირვებულ ანალიზს მოითხოვს.

წერითი დავალება მოითხოვს ტექსტის ანალიზს დავალების პირობით განსაზღვრული კონკრეტული პრობლემის მიხედვით და ამ პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობას. ამდენად, აბიტურიენტები ყურადღებით უნდა გაეცნონ დავალების პირობას, კარგად გაიაზრონ ის და პირობის ადეკვატურად შეასრულონ დავალება. გარდა ამისა, უნდა მოერიდონ ფუჭსიტყვაობას, იმსჯელონ მკაფიოდ და გასაგებად. აუცილებელია გაითვალისწინონ, რომ ტექსტის ანალიზის ნაცვლად მისი შინაარსის გადმოცემა ან პერიფრაზი, თუნდაც სრულიად უშეცდომო, დადებით შეფასებას ვერ დაიმსახურებს.

გამოცდაზე სასურველი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ აბიტურიენტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ და ღრმად გაიაზრონ საპროგრამო ნაწარმოებები. აბიტურიენტს უნდა შეეძლოს საპროგრამო ტექსტების ანალიზი, მათში წამოჭრილი პრობლემატიკის გამოკვეთა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ამ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი როგორც საპროგრამო, ისე არასაპროგრამო ტექსტების სწორად გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს.